დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ გიორგაძე

წევრები:

თამარ ბლიაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნათია ორმოცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ეკატერინე მაკარიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386679

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi23@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577761178

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 4 მარტის № MES 4 26 0000261750
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 1 და 2 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 480	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლა უზრუნველყოფილი იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალით არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა*
N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	*სკოლამ უზრუნველყოს* *1. საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანისთან არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა;* *2. სკოლის მიმართვის მომზადება და გაგზავნა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა;* *3. სკოლის შენობისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა.*
N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.*

N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს 1.მუნიციპალიტეტის შესაბმის სამსახურთან კომუნიკაციით სკოლის შენობის მომიჯნავედ არსებული ღია წყლის ნაკადზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა; 2.სკოლის შენობის საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვება არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა; 3.სკოლის ეზოს სრულად შემოღობვა არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ,
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხური)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობის შესაბამისი, კურიკულუის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო საფეხური)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობის შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხური)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის	სკოლა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობის შესაბამისი, კურიკულუის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა

	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში თითოეული მიზნისთვის უფრო მკაფიოდ გაიწეროს შესრულების ინდიკატორები (რაოდენობრივი და თვისობრივი), რაც გაამარტივებს 3 და 7-წლიანი ანგარიშების მომზადების პროცესს. ვინაიდან გეგმა შვიდწლიანია, SWOT ანალიზი პერიოდულად (მაგალითად, 3 წელიწადში ერთხელ) სასურველია განახლდეს, რათა სკოლამ შეძლოს ახალ გამოწვევებზე რეაგირება, რისი შესაძლებლობაც მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია.*
N1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სასურველია, სამოქმედო გეგმის აქტივობებში მითითებული იყოს სავარაუდო ბიუჯეტი ან რესურსი (მატერიალური/ადამიანური), რათა დადასტურდეს, რომ დაგეგმილი აქტივობები ფინანსურად რეალისტური და მიღწევადია.*
N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული*	*სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორები ხშირად ჩანაცვლებულია შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტით (მაგ: ოქმი). სასურველია, ინდიკატორი იყოს უფრო თვისობრივი ან რაოდენობრივი. მაგალითად: ნაცვლად მშობელთა კრების ოქმისა, ინდიკატორი შეიძლება იყოს მშობელთა ჩართულობის*

	ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	*20%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით ან მშობელთა კმაყოფილების ინდექსი (გამოკითხვის საფუძველზე).* *ვინაიდან გეგმა ერთწლიანია, სასურველია, მკაფიოდ გაიწეროს შუალედური (მაგ: სემესტრული) მონიტორინგის ვადები, რათა საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაშივე მოხდეს გეგმაში კორექტივების შეტანა.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ინსტრუქციები არსებობს, სასურველია, თითოეული თანამშრომლის (განსაკუთრებით ადმინისტრაციული პერსონალის: მუშა, დარაჯი, დამლაგებელი) შრომით ხელშეკრულებას დაერთოს კონკრეტული სამუშაო განრიგი და სპეციფიკური დავალებების ჩამონათვალი, რაც თანამდებობრივ ინსტრუქციებში ნახსენებია, როგორც „დაზუსტების შესაძლებლობა“.*
N3.2.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან*	*სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი.*
N3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*სასურველია, გასაჩივრების პროცედურებში დაზუსტდეს ვადები. მაგალითად, რამდენი დღე აქვს მხარეს საჩივრის შესატანად გადაწყვეტილების გაცნობიდან და ზუსტად რამდენი სამუშაო დღე აქვს სკოლას საბოლოო პასუხისთვის.*
N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ*	*სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

	ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ნაწილი მოძველებულია. სასურველია, ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ფონდის ეტაპობრივი განახლების (დეზინვენტარიზაციისა და ახალი შესყიდვების) პროცესი. სასურველია, სკოლამ დაიწყოს მუშაობა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს სერვისების ხელმისაწვდომობას.*
N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სასურველია, საქმისწარმოების წესს დაემატოს დეტალური თავი დოკუმენტების შენახვის ვადებისა და არქივის წარმოების შესახებ.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი**-სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია, მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.) **სახელმწიფო ენა** სკოლამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და აღნიშნოს, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღნიშნონ ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაუმატონ შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სპორტი** სამივე საფეხურზე - სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა სასწავლო თემისათვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას, გაითვალისწინოთ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს.
2.1.2.2		*საზოგადოებრივი მეცნიერებები*

	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	1. უმჯობესია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი; 2. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 3. უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; 4. სასურველია, თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს; 5. კურიკულუმებში უმჯობესია გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; 6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. კურიკულუმებში სასურველია, მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება. **ესთეტიკა** **რჩევა:** აისახოს IX კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკი – „ადამიანი ხელოვნებაში“. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, მე-3 კლასის ქართულის კურიკულუმში სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების სვეტი

		შეავსოთ სრულყოფილად. დაეყრდენით თქვენს მიერ გადმოგზავნილ 1-ელი კლასის კურიკულუმს.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველი გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. უმჯობესია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.
2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, მასწავლებლის საგნობრივ ანგარიშში, ფოკუსირებულად მიუთითოთ კურიკულუმის განხორციელების პროცესი, როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტებ და გაასიტყვეს ისინი.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** კარგი იქნება, თუ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების პირობაში ჩანდეს სამიზნეე ცნებები და კრიტერიუმების (დავალების კითხვები ისე იყოს ფორმულირებული, რომ ჩანდეს კავშირი სამიზნე ცნებებთან. იდეაში მკაფიოდ მიუთითეთ, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. (მაგ.: კომიქსის საშუალებით წარმოადგინოს სივრცეში ორიენტირებასთან დაკავშირებული ცნებები).

		უცხო ენა **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში სამივე საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის პირობა ნათლად და მკაფიოდ და რაც მთავარია ლაკონურად იყოს მოცემული ძირითად საკითხში, როცა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებაა დაგეგმილი. ასევე კონტექსტ მაგალითში მითითებული იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას. **სახელმწიფო ენა** სკოლამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და აღნიშნონ, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღნიშნონ ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაუმატონ შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მომავალი სასწავლო წლებისთვის სკოლამ გაითვალისწინოს და კურიკულუმში შეიტანოს ყველა ის რესურსი, რომელსაც იყენებენ სასკოლო სივრცეში.

2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* მომდევნო სასწავლო წლებისთვის სკოლამ შექმნას ყველა თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* მოსწავლეთა შეფასების დროს გათვალისწინებული მათი მზაობა, საჭირო უნარების განვითარება შემდგომი განვითარება, სწავლის ტემპი და სხვა. კარგი იქნება, თუ მასწავლებლის საგნობრივ ანგარიშებშიც გამოჩნდება.
2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	ესთეტიკა **რჩევა:** მიზანშეწონილია,

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საგაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი** სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია, მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა) **სახელმწიფო ენა** სკოლამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და აღნიშნოს, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღნიშნოს ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაუმატონ შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სპორტი** სამივე საფეხურზე - სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა სასწავლო თემისათვის. *საზოგადოებრივი მეცნიერებები* სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ რუბრიკებში უფრ მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* 1. უმჯობესია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი; 2. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;

		3. უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; 4. სასურველია, თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს; 5. კურიკულუმებში უმჯობესია გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; 6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. კურიკულუმებში სასურველია მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** მომდევნო სასწავლო წლებისთვის სკოლამ შექმნას ყველა თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველია გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. უმჯობესია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს

		სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.
2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, მასწავლებლის საგნობრივ ანგარიში, ფოკუსირებულად მიეთითო კურიკულუმის განხორციელების პროცესი, როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტები და გაასიტყვეს ისინი.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** კარგი იქნება, თუ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების პირობაში ჩანდეს სამიზნე ცნებები და კრიტერიუმების (დავალების კითხვები ისე იყოს ფორმულირებული, რომ ჩანდეს კავშირი სამიზნე ცნებებთან. იდეაში მკაფიოდ მიეთითოს, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში (მაგ.: კომიქსის საშუალებით წარმოადგინოს სივრცეში ორიენტირებასთან დაკავშირებული ცნებები)

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი** სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია, მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა) **სახელმწიფო ენა** სკოლამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და აღნიშნოს, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღნიშნონ ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სპორტი** სამივე საფეხურზე - სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა სასწავლო თემისათვის. *საზოგადოებრივი მეცნიერებები* სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს. ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მომდევნო სასწავლო წლებისთვის შეიქმნას ყველა თემის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* 1. უმჯობესია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი; 2. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 3. უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; 4. სასურველია, თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს; 5. კურიკულუმებში უმჯობესია გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; 6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. კურიკულუმებში, სასურველია, მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველი გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. უმჯობესია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს

		სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.
2,1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, მასწავლებლის საგნობრივ ანგარიში, ფოკუსირებულად მიუთითოთ კურიკულუმის განხორციელების პროცესი, როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტები და გაასიტყვეს ისინი.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** კარგი იქნება, თუ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, შემოქმედებითი დავალების პირობაში ჩანდეს სამიზნე ცნებები და კრიტერიუმები (დავალების კითხვები ისე იყოს ფორმულირებული, რომ ჩანდეს კავშირი სამიზნე ცნებებთან). იდეაში მკაფიოდ მიუთითეთ, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში (მაგ.: კომიქსის საშუალებით წარმადგინოს სივრცეში ორიენტირებასთან დაკავშირებული ცნებები)
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** მომდევნო სასწავლო წლებისთვის შეიქმნას ყველა თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებაში ვიზიტისას ხარვეზები გამოვლინდა შემდეგ ინდიკატორებში:

- ***2.2.2.4:*** *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის არარსებობა სამივე საფეხურზე, დაწყებით საფეხურზე - სპორტის არასერტიფიცირებული მასწავლებლები;*
- ***3.1.2.4:*** *დაწყებითი საფეხურის სპორტის პედაგოგების სერტიფიცირების არქონა და სკოლის ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობა;*
- ***3.4.1.1:*** *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების მიმართვისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის არქონა;*
- ***3.4.1.2:*** *ექიმის შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და სერტიფიკატის არქონა, რაც საფრთხეს უქმნის პირველადი დახმარების აღმოჩენას;*
- ***3.5.1.1:*** *ფიზიკური გარემოს საფრთხეები: ფანჯრების დაბალი რაფები, კიბეებზე სახიფათო ღიობები, სკოლის ეზოს გაუმართავი ღობე, მიმდებარე დაჭაობებული წყალი და საჯარო რეესტრის ამონაწერის არქონა.*
- ***3.6.1.2:*** *ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესის არქონა.*

ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციითა და მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე სრულად შესაბამისია შემდეგი ინდიკატორების მოთხოვნები:

- ***3.6.1.2:*** *ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესი უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია.*
- ***3.5.1.1*** *(ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების ნაწილი):*
    - *საკლასო ოთახების ფანჯრებზე მოეწყო უსაფრთხო კონსტრუქციის მოაჯირები;*
    - *კიბის უჯრედებში დამონტაჟდა უსაფრთხოების მოაჯირები.*

*ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებები. დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და **3.6.1.2 შეაფასა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო 3.5.1.1 მეტწილად შესაბამისად,** რადგან, გარდა ფანჯრებისა და კიბის უჯრედების უსაფრთხოებისა, დაწესებულებას აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით ჰქონდა სხვა შეუსაბამობებიც, რომლებიც აღწერილია ქვევით.*

სხვა დახარვეზებული ინდიკატორების მოთხოვნების შესრულების ვადებად განსაზღვრულია 2026 წლის სექტემბერი ან 2027 წლის აპრილი. კერძოდ,

- ***2.2.2.4 და 3.1.2.4:** სპორტისა და ხელოვნების მასწავლებლების ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის გამოცხადება და კვალიფიციური კადრების შერჩევა (არა უვიანეს 2026 წლის სექტემბრისა);*
- ***3.4.1.2:** კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმის დასაქმება (არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა);*
- ***3.4.1.1:** საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება, სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის დასკვნების მოპოვება (არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა);*
- ***3.5.1.1:** სკოლის უკანა ეზოს შემოღობვა (არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა);*

  მიმდებარე წყლის ნაკადზე სანიტარული ნორმების დაცვა მუნიციპალიტეტთან კოორდინაციით (არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა);

  საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვება (არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა).

*დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას დამაჯერებელს ხდის რამდენიმე საკვანძო ფაქტორი, რომლებიც დოკუმენტში ასახული აქტივობების რეალისტურობასა და სისტემურობას უსვამს ხაზს კერძოდ, კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გაანალიზება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და ინდიკატორების **2.2.2.4, 3.1.2.4, 3.4.1.2, 3.4.1.1 და 3.5.1.1 შეაფასა მეტწილად შესაბამისად.***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ფილოსოფია ორიენტირებულია ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებულ განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებითა და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია აცხადებს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებაზე. დოკუმენტში ხაზგასმულია კრიტიკული, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების განვითარება, რაც პიროვნული ზრდის საფუძველია. სტრატეგიული გეგმის პირველივე პრიორიტეტი — „სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება“ — მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც დასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან ინტეგრირებით.

სკოლა საკუთარ თავს განიხილავს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ კულტურულ ცენტრად. ამას ადასტურებს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქტივობები, როგორიცაა სასკოლო კლუბების მუშაობა, პროექტებით სწავლება (მაგალითად, მე-11 კლასში სამოქალაქო განათლებისა და ხელოვნების მიმართულებით) და სპორტულ-კულტურული ღონისძიებები.

დოკუმენტაციაში ცალკე პრიორიტეტად არის გამოყოფილი „უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შექმნა“. ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოებით (დაცვა, ვიდეომონიტორინგი), არამედ მოიცავს ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერასა და ბულინგის პრევენციის მექანიზმებს.

სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებები — ტოლერანტობა, პატივისცემა და თანასწორობა — ქმნის ეთიკურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სოციო-კულტურული გარემოს შენარჩუნებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ზემოაღნიშნული ფაქტების საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა თავისი მისიითა და ხედვით მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის სტრატეგიული დოკუმენტები სრულ თანხვედრაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან და ემსახურება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით.

დირექტორის ბრძანებით (N01-03/24 (01.09.2023) შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არამედ მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები. ეს მიუთითებს პროცესის დელეგირებაზე და ჯგუფურ მუშაობაზე.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (მუხლი 5 და 6) დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მისიისა და ხედვის შემუშავებისას სკოლა იყენებს ინკლუზიურ მიდგომას.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებას შემდეგი წყაროებიდან: ფოკუს-ჯგუფები; კითხვარები/გამოკითხვები; ინტერვიუები სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები).

სტრატეგიული გეგმა და სკოლის ფილოსოფია განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ (2023 წლის 16 ოქტომბერი, ოქმი N7), რაც ნიშნავს მასწავლებელთა კორპუსის ჩართულობას.

საბოლოო დოკუმენტი დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ (2023 წლის 20 ოქტომბერი, ოქმი N8). ვინაიდან სამეურვეო საბჭო შედგება მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან, მისი თანხმობა არის მტკიცებულება იმისა, რომ ყველა სეგმენტის ინტერესი გათვალისწინებულია.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების (ბრძანებები, მეთოდოლოგია, საბჭოების ოქმები) ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფია არ არის ვიწრო წრეში შემუშავებული დოკუმენტი. პირიქით, იგი წარმოადგენს საერთო შეთანხმების შედეგს, სადაც დაცულია ბალანსი ადმინისტრაციულ ხედვასა და სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) მოლოდინებს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- პედაგოგიური საბჭოს ჩართულობა: 2023 წლის 16 ოქტომბრის N7 ოქმით დასტურდება, რომ მასწავლებელთა სრულმა შემადგენლობამ განიხილა და მხარი დაუჭირა სტრატეგიულ დოკუმენტებს.
- სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება: 2023 წლის 20 ოქტომბრის N8 ოქმით დოკუმენტი დაამტკიცა ორგანომ, რომელიც შედგება მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. ეს ნიშნავს, რომ ყველა სეგმენტმა აიღო პასუხისმგებლობა ამ ღირებულებებზე.

„სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლის თანახმად, სკოლას დანერგილი აქვს გაზიარების კონკრეტული არხები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას:

- ელექტრონული პლატფორმები: სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი და ელექტრონული ფოსტა.
- ფიზიკური სივრცე: საინფორმაციო დაფა და ბეჭდვითი მასალები.
- საჯარო განხილვები: მეთოდოლოგია ითვალისწინებს პერიოდულ საჯარო შეხვედრებს დოკუმენტების გასაცნობად.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული SWOT ანალიზი არის სასკოლო საზოგადოების ერთობლივი თვითრეფლექსიის შედეგი. ის ფაქტი, რომ საზოგადოება თანხმდება სკოლის გამოწვევებზე (მაგ. ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება) და ძლიერ მხარეებზე (გუნდური მუშაობა), მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის მისია რეალურ საჭიროებებზეა დაფუძნებული.

დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ღირებულებები (ტოლერანტობა, პატივისცემა, თანასწორობა) არ არის მხოლოდ დეკლარირებული. ისინი საფუძვლად უდევს: მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას, მშობლებთან კომუნიკაციის ეთიკას, სასკოლო კლუბებისა და პროექტების შინაარსს (მაგ. XI კლასში პროექტებით სწავლება).

ამრიგად, სკოლის ფილოსოფიის გაზიარება დასტურდება მონაწილეობითი მართვის პრინციპით. ვინაიდან დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (მუხლი 12) თანახმად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინფორმაციის საჯაროობის კონკრეტული არხები:

- ელექტრონული რესურსები: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში (Facebook გვერდი), რაც მათ ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;
- ფიზიკური ხელმისაწვდომობა: დოკუმენტაცია გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას — საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს სკოლაში მყოფი მშობლების, მოსწავლეებისა და სტუმრების ინფორმირებულობას;
- პირდაპირი კომუნიკაცია: მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის დაგზავნას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მის პრეზენტაციას საჯარო განხილვების ფორმატში.

სტრატეგიული გეგმის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ დოკუმენტი (რომელიც მოიცავს მისიას, ხედვას და ღირებულებებს) განხილული იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი N7, 16.10.2023) და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N8, 20.10.2023). სამეურვეო საბჭოში მშობელთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობა თავისთავად გულისხმობს დოკუმენტის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. მეთოდოლოგია უშვებს ინფორმაციის გავრცელებას ბეჭდური სახითაც, რაც დამატებითი გარანტიაა მათთვის, ვისაც არ აქვს წვდომა ინტერნეტ რესურსებთან.

დასტურდება, რომ სკოლას არა მხოლოდ დეკლარირებული აქვს საჯაროობის პრინციპი, არამედ შექმნილი აქვს მრავალფეროვანი პლატფორმები (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა, საჯარო შეხვედრები) იმისათვის, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს კანონმდებლობის („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი) თანახმად, საჯარო სკოლა არის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ დაწესებულების სრული სახელწოდება, რომელსაც ყველა წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში სკოლა იყენებს, არის: სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა.

სკოლის სახელწოდება ფიქსირდება ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რაც მის ვალიდურობას ადასტურებს: დოკუმენტების ტიტულზე მითითებულია სრული დასახელება, მისამართი (მახვილაურის ქ. N41) და საიდენტიფიკაციო კოდი (I/D 248386679).

კანონმდებლობა ადგენს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვას „სკოლა“. მოცემულ შემთხვევაში შესიტყვება „საჯარო სკოლა“ მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების ტიპს (სახელმწიფო

დაფინანსებაზე მყოფი ზოგადსაგანმანათლებლო ერთეული). მითითებულია გეოგრაფიული მდებარეობა (ქალაქი ბათუმი) და რიგითი ნომერი (N23), რაც უზრუნველყოფს მის ინდივიდუალიზაციას სხვა საგანმანათლებლო ერთეულებისგან.

დოკუმენტების ტიტულზე სახელწოდება დუბლირებულია ინგლისურ ენაზეც: LEPL-Batumi Public School №23. ეს ადასტურებს, რომ სკოლა იცავს საერთაშორისო სტანდარტსაც და იყენებს ტერმინ „Public School"-ს, რაც ზუსტად შეესაბამება ქართულ „საჯარო სკოლას".

ამრიგად, სკოლის სახელწოდება — სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა — სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. იგი იდენტურია ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში, რაც გამორიცხავს ბუნდოვანებას და ადასტურებს დაწესებულების სამართლებრივ მოწესრიგებულობას ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება №01-03/24 (01.09.2023);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება №01-03/23 (01.09.2023);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023): დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის №01-03/23 ბრძანებით (დანართი №1);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №7 (16.10.2023);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №8 (20.10.2023);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6;*
- *საჯარო რეესტრის ამონაწერი;*
- *სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია ნათლად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სამუშაო ჯგუფების ფორმატში და დოკუმენტების პროექტების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებით. სკოლა ვალდებულებას იღებს, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობა პროცესში. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამოქმედო (ყოველწლიურად) და სტრატეგიული (3 და 7 წელიწადში ერთხელ) გეგმების შესრულების ანგარიშების მომზადებას და მათ გასაჯაროებას სკოლის ვებ-გვერდზე.

სტრატეგიული გეგმა (2023-2030) დაფუძნებულია SWOT ანალიზზე და შემუშავებულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე. იგი განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც ადასტურებს მართვის ორგანოების ჩართულობას. სამოქმედო გეგმის (2025-2026) შედგენისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა წლის რეფლექსიით და გამოყო 5 პრიორიტეტული მიმართულება, მათ შორის მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, რაც პირდაპირ პასუხობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მოთხოვნას.

ამრიგად, სკოლაში არსებული მეთოდოლოგია და მისი საფუძველზე შემუშავებული გეგმები ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს სისტემური მიდგომა სტრატეგიული განვითარების მიმართ და ფლობს ქმედით მექანიზმებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების დასაცავად და მათი პრიორიტეტების ასახვისთვის სკოლის განვითარების დოკუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - ბათუმის N23 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი შემდეგია: სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს დაგეგმვის ციკლურ ხასიათს. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. დაგეგმვის პროცესი ციკლურად მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: მისიის/ხედვის შემუშავებას, გეგმების მომზადებას, დამტკიცებას, მონიტორინგს და ანგარიშგებას, რაც ქმნის განვითარების უწყვეტ წრეს (იხ. მეთოდოლოგიის სქემა).

მეთოდოლოგია პირდაპირ ადგენს, რომ სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და აზუსტებს მას კონკრეტული მიზნებით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მისიას (ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თაობის აღზრდა) და ხედვას (დემოკრატიული, ჰუმანური და ცოდნაზე ორიენტირებული გარემო). დოკუმენტში გაწერილია ისეთი სამუშაო პრინციპები, როგორიცაა პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და ინოვაციური მიდგომები, რაც სტრატეგიული განვითარების საფუძველია.

სკოლის მიზნები ეხმიანება მისიაში გაცხადებულ პრიორიტეტებს. მაგალითად, კრიტიკული აზროვნების განვითარება, ეთიკური ქცევის ჩამოყალიბება და ისტორიული მემკვიდრეობის დაფასება სკოლის მისიის განუყოფელი ნაწილია.

სტრატეგიული გეგმა აკავშირებს მრავალწლიან მიზნებს კონკრეტულ ამოცანებთან. მაგალითად, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლების მიცემა დასახულია მთავარ ამოცანად, რომელიც უნდა შესრულდეს კვალიფიციური კადრებისა და რესურსების ეფექტური გამოყენებით. მეთოდოლოგიის მიხედვით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის სტრატეგიული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი, რომელიც აკონკრეტებს რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში თითოეული მიზნისთვის უფრო მკაფიოდ გაიწეროს შესრულების ინდიკატორები (რაოდენობრივი და თვისობრივი), რაც გაამარტივებს 3 და 7-წლიანი ანგარიშების მომზადების პროცესს.*

ვინაიდან გეგმა შვიდწლიანია, SWOT ანალიზი პერიოდულად (მაგალითად, 3 წელიწადში ერთხელ) სასურველია განახლდეს, რათა სკოლამ შეძლოს ახალ გამოწვევებზე რეაგირება, რისი შესაძლებლობაც მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ სასწავლო წელს (მაგალითად, წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის გეგმა). ეს შეესაბამება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულებას ყოველი სასწავლო წლისთვის.

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის (2023-2030) რეალიზაციის ძირითად ინსტრუმენტს. მასში ასახული პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმით დასახული გრძელვადიანი მიზნებიდან. დოკუმენტებს შორის არსებობს ლოგიკური ჯაჭვი: სტრატეგიული მიზანი -> სამოქმედო გეგმის ამოცანა -> კონკრეტული აქტივობა.

სამოქმედო გეგმის შესავალში აღნიშნულია, რომ სკოლამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. ეს მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესი არ არის ფორმალური და ის ეყრდნობა შესრულებული სამუშაოს ანალიზს, გამოკვეთილ საჭიროებებსა და ახალ გამოწვევებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: *სასურველია, სამოქმედო გეგმის აქტივობებში მითითებული იყოს სავარაუდო ბიუჯეტი ან რესურსი (მატერიალური/ადამიანური), რათა დადასტურდეს, რომ დაგეგმილი აქტივობები ფინანსურად რეალისტური და მიღწევადია.*

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმა სტრუქტურულად გამართულია და უკავშირდება სტრატეგიულ მიზნებს. მასში გამოყოფილი 5 პრიორიტეტული მიმართულება (სწავლების ხარისხი, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, ორგანიზაციული განვითარება და მშობელთა ჩართულობა) სრულად ფარავს შვიდწლიანი გეგმის ამოცანებს. თითოეული აქტივობა ლოგიკურად ემსახურება დასახული ამოცანების შესრულებას.

გეგმაში იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი მხარეები. ფუნქციები განაწილებულია სკოლის მართვისა და სტრუქტურული დონის მიხედვით: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგიური საბჭო, დამრიგებლები, საგნობრივი კათედრები, მანდატური და ექიმი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს გუნდური მუშაობისა და პასუხისმგებლობის დელეგირების კულტურა.

სამოქმედო გეგმაში აქტივობები გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლის ჭრილში. ვადები მითითებულია პერიოდების (მაგ: სექტემბერი, მთელი წელი, სასწავლო წლის ბოლოს) მიხედვით, რაც იძლევა პროცესის დინამიკაში მართვის შესაძლებლობას. დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა და ხასიათი შეესაბამება ერთი სასწავლო წლის რესურსს, რაც მათ რეალისტურობას ადასტურებს.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (მუხლი 9) ითვალისწინებს მატერიალური და ფინანსური რესურსების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმაში აქტივობები შერჩეულია სკოლის არსებული ბაზისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით (მაგ: კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება, ბიბლიოთეკის რესურსი, ადამიანური კაპიტალი), რაც გეგმის განხორციელებადობას ზრდის.

აქტივობების ნაწილი ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე (მაგ: მშობელთა კრებების ოქმები, სასკოლო კურიკულუმების არსებობა, ტრენინგების სერტიფიკატები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია:

რჩევა: *სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორები ხშირად ჩანაცვლებულია შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტით (მაგ: ოქმი). სასურველია, ინდიკატორი იყოს უფრო თვისობრივი ან რაოდენობრივი. მაგალითად: ნაცვლად მშობელთა კრების ოქმისა, ინდიკატორი შეიძლება იყოს მშობელთა ჩართულობის 20%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით ან მშობელთა კმაყოფილების ინდექსი (გამოკითხვის საფუძველზე).*

ვინაიდან გეგმა ერთწლიანია, სასურველია, მკაფიოდ გაიწეროს შუალედური (მაგ: სემესტრული) მონიტორინგის ვადები, რათა საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაშივე მოხდეს გეგმაში კორექტივების შეტანა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ;*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები, განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (16.10.2023, ოქმი N7) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (20.10.2023, ოქმი N8);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (09.09.2025, ოქმი N5) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (18.10.2025, ოქმი N7);*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მეთოდოლოგია (განსაკუთრებით მე-10, მე-11 მუხლები და დანართი N1) აყალიბებს მონიტორინგის ორდონიან სისტემას: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ (შუალედური) და 7 წლის თავზე (შემაჯამებელი); სამოქმედო გეგმის მონიტორინგი: ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს.

დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი სუბიექტები. პროცესს კოორდინაციას უწევს სკოლის დირექტორი და ხარისხის მართვის ჯგუფი/მენეჯერი, ხოლო შედეგები განიხილება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე. ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და კოლეგიალურობას.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა:

- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა (კითხვარები);
- ფოკუს-ჯგუფები;
- სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები;
- დოკუმენტური რევიზია (ოქმები, ანგარიშები).

მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგია არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით. იგი ითვალისწინებს რეფლექსიის ეტაპს, სადაც მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ხდება გეგმებში კორექტივების შეტანა. ეს დასტურდება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმითაც, რომლის შესავალშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ ის ეფუძნება წინა წლის რეფლექსიას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი მეთოდოლოგიით (მუხლი 10, 11 და დანართი N1) დასტურდება, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული გეგმების შესრულების კონტროლის მექანიზმი. განსაზღვრულია შუალედური (3-წლიანი) და შემაჯამებელი (7-წლიანი) შეფასება. ხორციელდება ყოველწლიური მონიტორინგი, რაც აისახება წლიურ ანგარიშში.

დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მონიტორინგის პროცესი მოიცავს უკუკავშირის მექანიზმებს: მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის თანახმად, მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა (კითხვარები) და ფოკუს-ჯგუფები. ინფორმაციის წყაროებად მითითებულია არა მხოლოდ დოკუმენტური რევიზია, არამედ ინტერვიუები და სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები).

უკუკავშირის გათვალისწინება დასტურდება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის პრეამბულით, სადაც აღნიშნულია, რომ გეგმა ეფუძნება წინა წლის რეფლექსიას (თვითშეფასებას).

სკოლის სტრატეგიულ პრიორიტეტებში (ორგანიზაციული განვითარების ნაწილი) ხაზგასმულია თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან და თემთან. მეთოდოლოგია ითვალისწინებს ამ მხარეებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს სკოლის განვითარების პროცესში.

მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი ავალდებულებს სკოლას, რომ მონიტორინგის ანგარიშები იყოს საჯარო და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისთვის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელისა თუ საჯარო განხილვების გზით.

სკოლაში არსებული მექანიზმები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას. მონიტორინგი და შეფასება აღქმულია, როგორც განვითარების ციკლის ნაწილი, სადაც უკუკავშირი წარმოადგენს მომავალი წლის დაგეგმარების საფუძველს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარება) ავალდებულებს სკოლას, რომ დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესი იყოს გამჭვირვალე. დოკუმენტის თანახმად, საჯაროობა ვრცელდება როგორც თავად გეგმებზე, ისე მათი შესრულების ანგარიშებზე.

მეთოდოლოგია განსაზღვრავს კონკრეტულ პლატფორმებს, რომელთა საშუალებითაც სასკოლო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია შედეგების შესახებ:

- სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი: სადაც თავსდება წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები;
- სოციალური ქსელები: ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისათვის;
- ელექტრონული ფოსტა: დაინტერესებული პირების პირდაპირი ინფორმირებისათვის;
- საჯარო განხილვები: ანგარიშების წარდგენა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე, რაც თავისთავად გულისხმობს პროცესის ღიაობას;
- საინფორმაციო დაფა: სკოლის შენობაში ფიზიკური ხელმისაწვდომობისათვის.

საჯაროობა არ არის ერთჯერადი აქტი. დანართი N1-ის მიხედვით, სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მოამზადოს სტრატეგიული გეგმის შუალედური ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტების გასაჯაროება არის იმის გარანტი, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სკოლის განვითარების დინამიკის შესახებ.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი აკმაყოფილებს გამჭვირვალობისა და საჯაროობის კრიტერიუმს. მეთოდოლოგია იძლევა მკაფიო გარანტიას, რომ განხორციელებული საქმიანობის შედეგები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, რაც ზრდის ნდობას სკოლის მართვის მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს შემდგომი განვითარების დასაგეგმად.

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პრეამბულაში მითითებულია: „სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით.“
ეს ჩანაწერი ადასტურებს, რომ სკოლა არ ადგენს გეგმას იზოლირებულად; ის აანალიზებს წარსულ შედეგებს (რა გაკეთდა, რა ვერ შესრულდა, რა იყო გამოწვევა) და ამ ინფორმაციას იყენებს ახალი მიზნების ფორმულირებისთვის.

მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა მუშაობს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის პრინციპით: შეფასება ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. ხარისხის მართვის ჯგუფი და დირექცია აანალიზებს მიღებულ შედეგებს. ანალიზის საფუძველზე ხდება პრიორიტეტების გადახედვა. მაგალითად, თუ მონიტორინგმა აჩვენა მშობელთა დაბალი ჩართულობა, მომდევნო წლის გეგმაში ეს მიმართულება უფრო გაძლიერებული აქტივობებით აისახება.

მეთოდოლოგიის მე-10 და მე-11 მუხლები ითვალისწინებს შუალედურ (3-წლიან) შეფასებას. ეს მექანიზმი სპეციალურად იმისთვისაა შექმნილი, რომ თუ შვიდწლიანი გეგმის განხორციელების პროცესში გარემო პირობები ან სკოლის საჭიროებები შეიცვალა, მოხდეს გეგმის ვალიდაცია ან მასში ცვლილებების შეტანა. ეს უზრუნველყოფს სკოლის მდგრად განვითარებას.

მონიტორინგის შედეგების გამოყენება ჩანს რესურსების განაწილებაშიც. თუ შეფასება აჩვენებს, რომ კონკრეტულმა აქტივობამ (მაგ. ტრენინგმა ან პროექტმა) გამოიწვია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, სკოლა მომდევნო გეგმებში მეტ რესურსს მიმართავს მსგავსი ეფექტური ინიციატივებისკენ.

სკოლის მართვის სისტემა არის რეფლექსიური. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები წარმოადგენს არა მხოლოდ ანგარიშგების საგანს, არამედ ძირითად ინსტრუმენტს სკოლის შემდგომი განვითარების ციკლისთვის. დაწესებულება ახერხებს გამოცდილების ცოდნად გარდაქმნას, რაც ავტორიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (20.10.2023, ოქმი N8);
- სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (18.10.2025, ოქმი N7)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების ფუნქციები ძირითადად მკაფიოდაა განსაზღვრული და სისტემატიზებული სპეციალური დოკუმენტაციით. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავს პოზიციებს, შესასრულებელ ფუნქციებს, ანგარიშვალდებულებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის, დირექცია, პედაგოგიური

და სამეურვეო საბჭოები, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და სხვა. კოლეგიური ორგანოების (საბჭოები, კომიტეტები) კომპეტენციები და საქმიანობის წესი რეგულირდება შესაბამისი დებულებებითა და კანონმდებლობით. დოკუმენტებში გაწერილია, რომ თითოეული თანამშრომელი ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ინსტრუქციები არსებობს, სასურველია, თითოეული თანამშრომლის (განსაკუთრებით ადმინისტრაციული პერსონალის: მუშა, დარაჯი, დამლაგებელი) შრომით ხელშეკრულებას დაერთოს კონკრეტული სამუშაო განრიგი და სპეციფიკური დავალებების ჩამონათვალი, რაც თანამდებობრივ ინსტრუქციებში ნახსენებია, როგორც ,, დაზუსტების შესაძლებლობა''.*

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სტრუქტურა და ფუნქციების განაწილება ძირითადად შეესაბამება საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებს. დოკუმენტურად დასტურდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია იერარქიული და ფუნქციური მართვის მოდელი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვაზე. სტრუქტურაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი საგნობრივი კათედრები და პედაგოგიური საბჭო, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარებასა და სწავლის ხარისხის კონტროლს. ფუნქციების განაწილებაში ჩართულია ისეთი მნიშვნელოვანი რგოლები, როგორიცაა სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი და ფსიქოლოგი (ან მასთან გათანაბრებული პოზიციები), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. თანამდებობრივი ინსტრუქციები ნათლად განსაზღვრავს თითოეული ერთეულის ანგარიშვალდებულებას დირექციის წინაშე, რაც მართვის პროცესს ხდის პროგნოზირებადს. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ ადმინისტრირებაზე, არამედ კვალიფიციური კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე. შერჩევის, ადაპტაციისა და პროფესიული ზრდის მექანიზმები პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სტრუქტურა – ორგანიზაციული სქემა (ორგანოგრამა);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი – დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N6 ოქმით;*
- *თანამდებობრივი ინსტრუქციები (სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი) – დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N01-03/72 ბრძანებით;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა – დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის N01-03/70 ბრძანებით;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *მასწავლებლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები სისტემურია და შეესაბამება როგორც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (შრომის კოდექსი, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ”), ისე შიდაორგანიზაციულ რეგულაციებს.

პერსონალის მართვა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რომელიც ფარავს HR ციკლის ყველა ეტაპს: დაგეგმვას, შერჩევას, ადაპტაციას, განვითარებასა და გათავისუფლებას. დოკუმენტაციაში გაწერილია ვაკანსიის მართვისა და კონკურსის ჩატარების წესები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებსა და ობიექტურობას. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და უკავშირდება სკოლის შინაგანაწესს.

HR პოლიტიკაში არსებული მუხლები პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შესახებ მიუთითებს თანამედროვე მართვის სტანდარტების დანერგვაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, სკოლას აქვს ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც შეიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ ელემენტებს. პოლიტიკა განსაზღვრავს ვაკანსიის მართვისა და შერჩევის მკაცრ კრიტერიუმებს (მუხლი 4, 5). ეს არის პრევენცია, რათა სკოლაში არ მოხვდეს შეუსაბამო კვალიფიკაციის კადრი. ახალი თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული ადაპტაციის ეტაპი (მუხლი 9) ემსახურება შესაძლო შეცდომების პრევენციას საწყის ეტაპზევე. მუხლი 16 (კლიმატის კვლევა) არის პრევენციული ინსტრუმენტი. სკოლა წინასწარ იკვლევს კმაყოფილების დონეს, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტები ან კადრების გადინება.

პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათ გადამზადებას. ეს არის ინტერვენცია – როდესაც ვლინდება კომპეტენციის ნაკლებობა, სკოლა ერევა ტრენინგით ან კონსულტაციით.

შინაგანაწესისა და HR პოლიტიკის მიხედვით, ხორციელდება საქმიანობის მონიტორინგი. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება რეაგირება (დისციპლინური ან განვითარებაზე ორიენტირებული). HR პოლიტიკა ამბობს, რომ კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლოა მოხდეს მართვის მექანიზმების გადახედვა.

შრომითი ხელშეკრულებები და ინსტრუქციები იძლევა საშუალებას, რომ კონკრეტული პირის ფუნქციები დაზუსტდეს სკოლის მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის პერსონალის შერჩევის სისტემა ორიენტირებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე.

თანამდებობრივ ინსტრუქციებში თითოეული პოზიციისთვის გაწერილია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, გამოცდილება). ეს გამორიცხავს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრის შერჩევას.

HR პოლიტიკის მე-5 მუხლი დეტალურად აღწერს ვაკანსიის მართვასა და კონკურსის ეტაპებს. კონკურსის არსებობა ობიექტურობის გარანტიაა, რადგან ის გულისხმობს კანდიდატების შეფასებას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

პოლიტიკის მიხედვით, ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ ცხადდება საჯაროდ (მაგალითად, teacherjobs.ge -ზე ან სხვა რესურსების გამოყენებით), რაც უზრუნველყოფს პროცესის ღიაობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

შერჩევის პროცესში ჩართულია არა მხოლოდ დირექტორი, არამედ საკონკურსო კომისია (განსაკუთრებით მასწავლებელთა შემთხვევაში), რაც ამცირებს ერთპიროვნული, მიკერძოებული გადაწყვეტილების რისკს.

დოკუმენტებში ფუნქციები იმდენად დეტალურადაა გაწერილი, რომ პოტენციურ კანდიდატს თავიდანვე აქვს სრული წარმოდგენა სამუშაოს მოცულობაზე. შერჩევის შემდეგ პერსონალის ადაპტაციის მექანიზმი (HR პოლიტიკა, მუხლი 9) არის დამატებითი ფილტრი იმის გადასამოწმებლად, რამდენად შეესაბამება შერჩეული კადრი რეალურ სამუშაო გარემოს.

სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში წარმოდგენილია ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული აქვს მკაფიო საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ეროვნულ საკანონმდებლო სტანდარტებს: თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით, მასწავლებლის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონსა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. შრომით ხელშეკრულებაში (მუხლი 9.4.2) მითითებულია, რომ არაკვალიფიციურობის დადასტურება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

დოკუმენტში გაწერილია მოთხოვნები ყველა პოზიციისთვის (მაგ: ბუღალტერი – უმაღლესი განათლება შესაბამისი პროფილით; მუშა – მინიმუმ ზოგადი განათლება). ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს წინასწარ განსაზღვრული ფილტრი კადრების შერჩევისას.

პერსონალის კვალიფიკაციის განუყოფელ ნაწილად განიხილება ეთიკის ნორმების ცოდნა და დაცვა, რაც ასახულია როგორც შინაგანაწესში, ისე ინსტრუქციებში.

HR მართვის პოლიტიკა (მუხლი 12) ავალდებულებს სკოლას, ხელი შეუწყოს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც კანონმდებლობის მოთხოვნაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში.

<u>აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროისათვის დაწყებით საფეხურზე სპორტის გაკვეთილებს ატარებენ დაწყებით საფეხურზე მომუშავე პედაგოგები, რომელთაც არ აქვთ აღნიშნულ საგანში სერტიფიცირება.</u>

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც არ აქვს წარმოდგენილი საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) პედიატრია; ბ) საოჯახო მედიცინა; გ) ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა სკოლა უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი პერსონალით. გეგმაში წარმოდგენილიაკონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გააზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის სტრუქტურის ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლის მართვის მოდელი ორიენტირებულია მონაწილეობით და გუნდურ პრინციპებზე, თუმცა ეს პროცესი სხვადასხვა დონეზე სხვადასხვანაირად ვლინდება.

სკოლის სტრუქტურა და HR პოლიტიკა აჩვენებს, რომ მართვა არ არის მხოლოდ ვერტიკალური (დირექტორიდან ქვემოთ), არამედ მოიცავს ძლიერ ჰორიზონტალურ რგოლებს: HR მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია და შეთანხმებულია ორივე საბჭოსთან (ოქმი N8 და N9, 2023 წ.). ეს არის მონაწილეობითი მართვის მაგალითი, როდესაც სასკოლო საზოგადოება ჩართულია სტრატეგიული დოკუმენტის მიღებაში. სტრუქტურულ სქემაში გამოკვეთილია საგნობრივი კათედრები. ეს არის ძირითადი გუნდური ერთეულები, სადაც მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, რაც გუნდური მუშაობის კლასიკური გამოხატულებაა.

HR მართვის პოლიტიკის მე-16 მუხლი (ორგანიზაციული კლიმატის კვლევა) მკაფიოდ უსვამს ხაზს მონაწილეობით პრინციპს: სკოლა აღიარებს თანამშრომელთა აზრის მნიშვნელობას და ანონიმური კვლევის საფუძველზე გეგმავს მართვის მექანიზმების გადახედვას. ეს მიდგომა ქმნის საერთო პასუხისმგებლობის კულტურას, სადაც პერსონალი გრძნობს, რომ მათი უკუკავშირი ცვლის ორგანიზაციას.

ხარისხის განვითარების ჯგუფი არის სპეციალური ერთეული, რომლის ფუნქციაა არა მხოლოდ კონტროლი, არამედ მხარდაჭერა. გუნდური მუშაობის პრინციპი აქ ვლინდება იმაში, რომ ხარისხის გაუმჯობესება არის კოლექტიური ძალისხმევა და არა ინდივიდუალური სასჯელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, არსებობს თანამშრომელთა წახალისების კონკრეტული ფორმები, რაც აღიარების პირდაპირი მექანიზმია:

- მადლობის გამოცხადება: როგორც ზეპირი, ისე წერილობითი (ბრძანებით);
- ფულადი ჯილდო ან ფასიანი საჩუქარი: განსაკუთრებული მიღწევებისა და სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისთვის;
- სხვადასხვა სახის წახალისება: რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას.

გამოცდილების გაზიარება სკოლაში ხორციელდება სტრუქტურული ერთეულების დონეზე:

- საგნობრივი კათედრები: ეს არის მთავარი პლატფორმა, სადაც ხდება საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა, კოლეგების მიერ ერთმანეთისთვის რეკომენდაციების მიცემა და ერთობლივი დაგეგმარება;
- ხარისხის განვითარების ჯგუფი: ეს ჯგუფი არა მხოლოდ ამოწმებს, არამედ გასცემს რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს წარმატებული მეთოდების ტირაჟირებას სხვა მასწავლებლებზე;
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა: HR პოლიტიკის მე-12 მუხლი საუბრობს პერსონალის განვითარებაზე, რაც ხშირად მოიცავს შიდა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც გამოცდილი პედაგოგები უზიარებენ ცოდნას დამწყებ კოლეგებს (ადაპტაციის პერიოდში).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი – დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N6 სხდომის ოქმით;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები – დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N01-03/72 ბრძანებით;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა – დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის N01-03/70 ბრძანებით;*
- *მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*

მასწავლებლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში შეფასება ხორციელდება რამდენიმე დონეზე:

- შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი: თანამდებობრივი ინსტრუქციების მე-19 მუხლის თანახმად, სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს, რათა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მათი მუშაობა დადგენილ სტანდარტებსა და ხელშეკრულების პირობებს;
- ხარისხის კონტროლი: მასწავლებლის ხარისხის განვითარების ჯგუფი აფასებს სასწავლო პროცესის ეფექტურობას, რაც პირდაპირ კავშირშია პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის შეფასებასთან;
- ორგანიზაციული კლიმატის კვლევა: HR პოლიტიკის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ანონიმურ კვლევას, რაც მართვის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ფორმაა.

საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება შემდეგი გზებით:

- ინდივიდუალური და გუნდური ანალიზი: HR პოლიტიკის მე-12 მუხლის (პერსონალის განვითარება) მიხედვით, სკოლა ვალდებულია გამოავლინოს ის სფეროები, რომლებშიც თანამშრომლებს ესაჭიროებათ დამატებითი კომპეტენციების შეძენა;
- კათედრების როლი: საგნობრივი კათედრების დონეზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრებისთვის;
- თვითშეფასება და უკუკავშირი: პოლიტიკა ითვალისწინებს უკუკავშირის მექანიზმებს, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს, თავად დააფიქსიროს პროფესიული ზრდისთვის საჭირო მიმართულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

HR პოლიტიკის მე-12 მუხლი პირდაპირ ავალდებულებს სკოლას, გამოავლინოს პერსონალის პროფესიული საჭიროებები. ეს ხორციელდება მონიტორინგის, თვითშეფასებისა და ორგანიზაციული კლიმატის კვლევის (მუხლი 16) საფუძველზე. დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შიდა ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება (განსაკუთრებით კათედრების დონეზე).

ახალი თანამშრომლებისთვის არსებობს ადაპტაციის პერიოდი, რაც გულისხმობს მათი სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას საწყის ეტაპზევე, რათა მათ შეძლონ ფუნქციების ეფექტურად შესრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლას აქვს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის დეკლარირებული სისტემა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ეროვნულ სქემას.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა გადასვლას სტატუსების საფეხურებზე (უფროსი, წამყვანი, მენტორი). HR მართვის პოლიტიკის მე-12 მუხლი ხაზს უსვამს პერსონალის განვითარების მხარდაჭერას, რაც კარიერული ზრდის წინაპირობაა.

თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს იერარქიულ რგოლებს (მაგ: კათედრის თავმჯდომარე, ხარისხის ჯგუფის წევრი). სკოლა იძლევა შესაძლებლობას, რომ წარმატებულმა პედაგოგებმა დაიკავონ ეს პოზიციები, რომლებიც ადმინისტრაციული კარიერული ზრდის ფორმაა.

HR პოლიტიკა (მუხლი 12) ავალდებულებს სკოლას, გამოავლინოს საჭიროებები და ხელი შეუწყოს პერსონალის მონაწილეობას კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში, რაც აისახება მათს კარიერულ პორტფოლიოზე.

სკოლა ხელს უწყობს შიდა კადრების, როგორც მენტორების ჩამოყალიბებას, რომლებიც საკუთარ ცოდნას უზიარებენ კოლეგებს, რაც აღიარებისა და კარიერული ავტორიტეტის ზრდის ნიშანია.

შინაგანაწესით გათვალისწინებული მადლობები და ჯილდოები (მუხლი 13) ქმნის პოზიტიურ ფონს კარიერული ამბიციების სტიმულირებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა ზრუნავს ახალი კადრების სამუშაო გარემოში ჩართვაზე, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფ პროფესიულ რეალიზებას და ორგანიზაციულ კულტურასთან ზიარებას. HR პოლიტიკა ითვალისწინებს სპეციალურ ეტაპს, რომლის დროსაც ახალ თანამშრომელს მიეწოდება სრული ინფორმაცია სკოლის სტრუქტურის, შინაგანაწესის, ეთიკის ნორმებისა და მისი კონკრეტული ფუნქციების შესახებ. ინტეგრაციის პროცესში დასაქმებული ეცნობა სკოლის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო სპეციფიკას, რაც ამცირებს გაურკვევლობას და სტრესს საწყის ეტაპზე.

ადაპტაციის პროცესს ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაცია, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კონტროლს, არამედ საჭიროების შემთხვევაში დახმარებასა და კონსულტირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი.*

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

HR პოლიტიკის მე-12 მუხლი ავალდებულებს სკოლას, ხელი შეუწყოს პერსონალის მონაწილეობას ტრენინგებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში. სკოლა აღიარებს, რომ პერსონალის ინიციატივა საკუთარი კომპეტენციის ასამაღლებლად დაკავშირებულია სწავლების ხარისხთან.

პოლიტიკა წაახალისებს შიდა ინიციატივებს, როგორიცაა კოლეგების კონსულტირება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება კათედრების დონეზე.

სკოლის შინაგანაწესის მე-13 მუხლი განსაზღვრავს წახალისების ფორმებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც იჩენენ ინიციატივას და აღწევენ წარმატებებს პროფესიულ განვითარებაში:

- მადლობის გამოცხადება: წერილობითი აღიარება ინიციატივისა და აქტიურობისთვის;
- ფულადი ჯილდო: მატერიალური სტიმულირება განსაკუთრებული მიღწევებისა თუ ინოვაციური მიდგომების დანერგვისთვის;
- ფასიანი საჩუქარი: დამატებითი მოტივაციის წყარო გამორჩეული პერსონალისთვის.

ორგანიზაციული კლიმატის კვლევის მექანიზმი (HR პოლიტიკა, მუხლი 16) საშუალებას აძლევს პერსონალს, გამოვიდეს ინიციატივით მართვის მექანიზმებისა და სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად. სკოლა მზადაა, განიხილოს ეს ინიციატივები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი – დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N6 სხდომის ოქმით;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა – დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის N01-03/70 ბრძანებით.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში იკვეთება პროცესული მიდგომა. ხარისხის უზრუნველყოფა არ არის მხოლოდ ერთი ჯგუფის იზოლირებული მუშაობა, არამედ ის ინტეგრირებულია სკოლის დაგეგმვის სისტემაში.

- დაგეგმვა: შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030) ეფუძნება SWOT ანალიზს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაგეგმვა რეალურ საჭიროებებზეა დაფუძნებული. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026) კი პირდაპირ აგრძელებს სტრატეგიულ ხაზს და განსაზღვრავს კონკრეტულ ამოცანებსა და პასუხისმგებელ პირებს;
- განხორციელება: სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები (მაგ: კურიკულუმის გადახედვა, მშობელთა ჩართულობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), რაც მართვის პროცესის დინამიკურობას უზრუნველყოფს;
- შემოწმება და რეაგირება (Check & Act): ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის ის, რომ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის რეფლექსიით. ეს არის ხარისხის ციკლის შესრულების საუკეთესო მტკიცებულება — სკოლა აანალიზებს მიღწეულ შედეგებს და ამის საფუძველზე გეგმავს მომავალ ნაბიჯებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დოკუმენტში მკაფიოდ არის გამიჯნული სამი ტიპის პროცესი, რაც აკმაყოფილებს ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტს: მმართველობითი პროცესები მოიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ დაგეგმვას, მონიტორინგს, შეფასებას და ხარისხის განვითარებას; ძირითადი (საგანმანათლებლო) პროცესებში გაწერილია უშუალოდ სკოლის არსი — კურიკულუმის შემუშავება, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და მოსწავლეთა მხარდაჭერა; დამხმარე პროცესები მოიცავს რესურსების მართვას (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური), საქმისწარმოებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დოკუმენტი აჩვენებს, რომ სკოლა აღიქვამს თავის საქმიანობას, როგორც ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. მაგალითად, მე-11 მუხლში საუბარია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე, რაც ნიშნავს, რომ იდენტიფიცირებული პროცესები მხოლოდ ფურცელზე არ არსებობს — მათზე მიბმულია კონტროლისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და დოკუმენტირებულია გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლას აქვს სპეციალური სამართლებრივი აქტი (ბრძანება N01-03/68), რომელიც დეტალურად არეგულირებს ამ პროცესს. სისტემა ფარავს ყველა დაინტერესებულ მხარეს: თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები და ინფორმაციის დაშტრიხვის პრინციპი. შინაგანაწესი განსაზღვრავს, რომ ის სავალდებულოა ყველა მხარისთვის, რაც გულისხმობს მათ ინფორმირებულობას უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. გაწერილია საჩივრის განხილვის ეტაპები და უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, გასაჩივრების პროცედურებში დაზუსტდეს ვადები. მაგალითად, რამდენი დღე აქვს მხარეს საჩივრის შესატანად გადაწყვეტილების გაცნობიდან და ზუსტად რამდენი სამუშაო დღე აქვს სკოლას საბოლოო პასუხისთვის.*

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები სრულად დასტურდება. სკოლას შემუშავებული აქვს სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ისე რეაგირებისა და გასაჩივრების კონკრეტულ გზებს.

სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობასა და მათი უფლებების დაცვას შემდეგი ინსტრუმენტებით: სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა თითოეულ მეურვესთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ასევე, მშობლებს ელექტრონულად ეგზავნებათ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. მშობელს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო გეგმის ფორმირებაში (მაგ. უცხოური ენისა და არჩევითი საგნების არჩევა) და მოითხოვოს შვილისთვის სემესტრული გამოცდის დანიშვნა ნიშნის ამაღლების მიზნით. მეურვეს აქვს სკოლის შენობაში შესვლის, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, ფსიქოლოგთან და ექიმთან ინდივიდუალური შეხვედრის მოთხოვნის უფლება.

უფლებების დარღვევის შემთხვევაში მშობელს შეუძლია საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს (პერსონალის მხრიდან დარღვევისას) ან სამეურვეო საბჭოს (დირექტორის მხრიდან დარღვევისას) და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სკოლის თანამშრომელთა უფლებები დაცულია როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმებით. პერსონალის უფლებები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და დამატებით დაცულია პროფკავშირების მიერ. მასწავლებელს აქვს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 6 წელიწადში ერთხელ 1 წლამდე ანაზღაურების გარეშე შვებულების აღების უფლება სამუშაო ადგილის შენარჩუნებით. პერსონალს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის, რელიგიური თავისუფლებისა და საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის ფლობის უფლება. თანამშრომლებს აქვთ სკოლის სივრცეებით (სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა) სარგებლობისა და სკოლის ბიუჯეტისა თუ გეგმების გაცნობის უფლება. დისციპლინური დევნისას პერსონალი სარგებლობს დუმილის უფლებით. მათ, ასევე, აქვთ უფლება, შიდა გასაჩივრების არაეფექტურობის შემთხვევაში, მიმართონ რესურსცენტრს, სამინისტროს ან სასამართლოს.

დოკუმენტი ადგენს იერარქიულ და გამჭვირვალე სისტემას ნებისმიერი დარღვევის გამოსასწორებლად.

ამრიგად, სკოლის შიდა რეგულაციები (დამტკიცებული 2023 წლის 11 დეკემბრის N01-03/75 ბრძანებით) ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლებების რეალიზაციისა და დაცვისათვის. მექანიზმები მოიცავს როგორც პერსონალური მონაცემების დაცვას, ისე ფიზიკურ უსაფრთხოებასა და აკადემიურ თავისუფლებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი. დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N6, 06.09.2022);*
- *შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები), დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N8, 20.10.2023);*
- *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N7, 18.10.2025);*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულება, დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-03/73, 11.12.2023);*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-03/24, 18.11.2020);*
- *შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურის დებულება, დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-03/68, 17.11.2023);*
- *ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ. სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება (N01-03/25, 18.11.2020).*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციების სტრატეგია), რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმატებსა და ვადებს. სასკოლო სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი საჯაროა და მათი გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მიერ. მშობელთა კრებები გამოიყენება როგორც ინფორმაციის მიწოდების მთავარი არხი, სადაც ხდება ახალი რეგულაციების (მაგ.: გაცდენების აღრიცხვის ფორმა) წარდგენა.

მშობელთა კრების ოქმები ადასტურებს, რომ მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან აზრი სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად, ინკლუზიური განათლების ან მოსწავლეთა დისციპლინის შესახებ. სტრატეგია ითვალისწინებს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატის შეხვედრებს უკუკავშირისთვის.

N10 ოქმი ადასტურებს, რომ სკოლის მართვის უმაღლეს რგოლში მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი არა მხოლოდ ფორმალურად ირიცხებიან, არამედ მონაწილეობენ ისეთ კრიტიკულ გადაწყვეტილებებში, როგორიცაა ბიუჯეტის დამტკიცება. ეს არის უკუკავშირისა და რეაგირების ყველაზე მაღალი დონე, რადგან საზოგადოებას აქვს ბერკეტი, გავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე. ასევე, პედაგოგიური საბჭოს N6 ოქმი აჩვენებს, რომ ისგ (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) ჯგუფის მუშაობაში მშობლის მონაწილეობა სავალდებულო და სისტემურია. ეს ადასტურებს, რომ ინდივიდუალურ დონეზე უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი გამართულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოების ყველა რგოლის რეალური ჩართულობა მართვის პროცესში.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი N1 ადასტურებს, რომ თვითმმართველობა არა მხოლოდ ფორმალურად არსებობს, არამედ ირჩევს წარმომადგენლებს დისციპლინურ კომიტეტში. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლაში წესრიგისა და სამართლიანობის დაცვის პროცესში.

სამეურვეო საბჭო აქტიურად ფუნქციონირებს მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით, რაც დასტურდება ბიუჯეტის დამტკიცების ოქმით.

პედაგოგიური საბჭო ჩართულია სტრატეგიულ დაგეგმარებაში (მისია, ხედვა) და ინკლუზიური განათლების მართვაში.

სკოლას გააჩნია დოკუმენტირებული კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს მშობლებთან ურთიერთობის სტანდარტებს. ინფორმირება ხდება სისტემურად მშობელთა კრებებზე (გაცდენების ფორმები, შინაგანაწესი), პედსაბჭოს გადაწყვეტილებებით და სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. უკუკავშირის მიიღება კრებებისა და ისგ-ს ჯგუფების მუშაობის ფორმატში.

რეაგირების მექანიზმი ჩანს მონიტორინგის დოკუმენტში, სადაც სკოლა აფასებს სამოქმედო გეგმის შესრულებას, და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებში, სადაც საზოგადოების წარმომადგენლები აძლევენ ლეგიტიმაციას ფინანსურ ხარჯვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციების სტრატეგია). (დამტკიცებული 17.11.2023, ბრძანება N01-03/68);*
- *მე-9 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (10.10.2025);*
- *მე-4ა კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (04.09.2025);*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N10 (20.12.2024);*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6;*
- *საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1 (17.10.2025).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების**

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რომელიც რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგით. მორიგეობა ხორციელდება როგორც სასკოლო დერეფნებში, ისე სკოლის შესასვლელებში მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და წესრიგს ზედამხედველობს 2 მანდატური. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლს.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. სისტემა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1143 ბრძანებით დადგენილ სტანდარტებსა და ექსპლუატაციის წესებს.

- <u>სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,</u>
- <u>სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,</u>
- <u>უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.</u>

დაწესებულებამ წარმოდაგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც, საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმებას, სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის დასკვნების მოპოვებას გეგმავს არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა. გაწერილია კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გააზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

რჩევა: *სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაგეგმვისას ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ /01-23/ნ ერთობლივ ბრძანებას. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს სკოლის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტსა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესს. სკოლის უსაფრთხოების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე შექმნას

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, ჰყავს ექიმი. აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობაა საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) პედიატრია; ბ) საოჯახო მედიცინა; გ) ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი. სკოლის ექიმს არ აქვს წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტები, რაც ეჭვქვეშ აყენებს სკოლის ტერიტორიაზე პირველად დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა გეგმავს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალით დაწესებულების უზრუნველყოფას. გეგმით გათვალისწინებულია კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გააზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას შემდეგი მექანიზმებით:

- პასუხისმგებელი პირები: სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელნი არიან მანდატური, სკოლის დირექცია და დირექტორის აქტით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირები;
- დაცვის ფორმები: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. იგი მოიცავს მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგს. დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის მოქმედებას;
- პრევენცია და რეაგირება: სკოლის პოლიტიკის მიზანია როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარება, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება. სკოლაში დანერგილია კრიზისებზე (მათ შორის ბულინგსა და ძალადობაზე) რეაგირების მექანიზმი;
- გარე პირთა კონტროლი: წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა აკონტროლებს უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლის ტერიტორია შემოღობილია, ხოლო შენობაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის თანხმობით და სპეციალურ ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ;

- საკონსულტაციო ორგანო: სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს და გასცემს რეკომენდაციებს;
- სამართლებრივი საფუძველი: სკოლა ხელმძღვანელობს "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და განათლების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით (№06/ნ) დამტკიცებული წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს და მიზანს წარმოადგენს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლა აქტიურად მუშაობს ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და პოზიტიური გარემოს შექმნაზე, რაც აისახება მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმაში. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის ფუნდამენტური ნაწილია ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, დაგეგმილია და ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა დასწრებისა და ქცევის მუდმივ მონიტორინგს. ნებისმიერ დარღვევაზე გათვალისწინებულია ეფექტური რეაგირების მექანიზმები.

უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნაში ჩართულია სკოლაში დასაქმებული ყველა პირი, მათ შორის დირექცია, მასწავლებლები, დამრიგებლები და მორიგე პერსონალი. აღნიშნული პროცესები რეგულირდება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ გამართულობას.

ამრიგად, ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა და კონკრეტული მექანიზმები ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება შემდეგი მექანიზმებითა და აქტივობებით:

- სკოლაში მოქმედებს საპირფარეშოების სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების სისტემა. მონიტორინგი ხორციელდება სპეციალური აქტების საფუძველზე, სადაც ფასდება ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა საერთო სისუფთავე, ხელსაბანების

მდგომარეობა, საპნის, ტუალეტის ქაღალდისა და ხელის საშრობი საშუალებების არსებობა, წყლის მიწოდება, ვენტილაცია და დეზინფექციის სიხშირე;

- სკოლის დირექტორის ბრძანებით (№01-03/65) შექმნილია სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს კვების ობიექტის საქმიანობას. შემოწმება მოიცავს ბუფეტის აღჭურვილობას, ჭურჭლის რეცხვისა და დეზინფექციის პროცესს, მწერებისგან დაცვას და პროდუქტების შენახვის პირობებს;
- კვების ობიექტის მონიტორინგი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სკოლაში კვების უსაფრთხოებას;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად, ხორციელდება სკოლის შენობისა და ეზოს რეგულარული დაგვა-დასუფთავება, ნაგვის გატანა და სველი წესით დამუშავება. შენობის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირაში არანაკლებ 3-ჯერ, რაზეც პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე;
- სკოლა უზრუნველყოფილია საჭირო ჰიგიენური საშუალებებით (სადეზინფექციო ხსნარები, თხევადი საპონი, ერთჯერადი ხელსახოცები), რაც აუცილებელია პირადი ჰიგიენის დასაცავად.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის აქტები და შიდა ნორმატიული დოკუმენტები ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემატურად აკონტროლებს და უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას როგორც სასწავლო კორპუსში, ისე კვების ობიექტში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები დეტალურად არის რეგულირებული და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის №01-03/31 ბრძანება), რომელიც ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

სკოლა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის. მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად.

სკოლა ახორციელებს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან, გარკვევისაგან ან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სჭირდებათ.

განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს მონაცემთა დაცვის წესების შესრულება, მათ შორის ელექტრონული ჟურნალების წარმოება. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის.

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას (ტრენინგებს) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მონაცემთა არამართლზომიერი დამუშავება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა შეფასებებისა და დასწრების მონაცემების დაცვას, რათა არ აისახოს არაოფიციალურ ან დაუცველ წყაროებში.

სკოლაში არსებული შიდა ნორმატიული აქტები და კონტროლის მექანიზმები ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემურად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას და ამ პროცესის მუდმივ მონიტორინგს, ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ბათუმის რესურსცენტრის თანამშრომელი). ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლას გააჩნია ინფორმაციის დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლაში მოქმედებს ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შესახებ არსებული მონაცემების უსაფრთხოებას. სკოლას აქვს დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და კანონიერი მიზნებისთვის. დაწესებულება ვალდებულია, განახორციელოს შესაბამისი ზომები მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან, გარკვევისგან ან სხვა უკანონო ფორმით გამოყენებისგან დასაცავად.

პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სჭირდებათ. დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს მონაცემთა დაცვის წესების შესრულებას, მათ შორის ელექტრონული ჟურნალების წარმოებას.

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე. მონაცემთა დამუშავებისას დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმისა და მრჩეველთა საბჭოს ოქმების საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლა სისტემურად ახორციელებს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებასა და მათ გაუმჯობესებას. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების პერიოდულ განხილვას (მაგალითად, IV სხდომა დეკემბერში ეძღვნება პირველი სემესტრის შეფასებას).

შეფასების შედეგების გამოყენება გაუმჯობესებისთვის სკოლა არა მხოლოდ აფასებს არსებულ მდგომარეობას, არამედ იღებს გადაწყვეტილებებს მექანიზმების დახვეწის შესახებ. მაგალითად, ფუნქციების ოპტიმიზაცია. 2025 წლის 23 დეკემბრის ოქმი №4 ადასტურებს, რომ საბჭომ იმსჯელა და შეიტანა ცვლილება სამოქმედო გეგმაში, რათა პასუხისმგებლობები უფრო ზუსტად ყოფილიყო გადანაწილებული პერსონალის ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად (კერძოდ, მანდატურის ფუნქციების დაზუსტება).

შეფასების პროცესში ხდება ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, როგორიცაა ამორტიზირებული ინვენტარის ჩამოწერა ან სკოლის ეზოს მოწესრიგება უსაფრთხოების ხარისხის ასამაღლებლად.

მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად მრჩეველთა საბჭო ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს და დაგეგმილი ღონისძიებების კორექტირებას საჭიროებისამებრ.

პერიოდულ შეფასებას ექვემდებარება, ასევე, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სადაც მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან გამოვლენილ დარღვევებზე მოახდინონ მყისიერი რეაგირება.

ამრიგად, სკოლას დანერგილი აქვს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების ქმედითი სისტემა მრჩეველთა საბჭოს სახით, რომელიც რეგულარულად ახდენს არსებული პროცესების ანალიზს და შეფასების შედეგების საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს უსაფრთხო გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №01-03/74 ბრძანება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის №01-03/71 ბრძანება, სკოლის უსაფრთხოების მართვის პოლიტიკა;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის №01-03/31 ბრძანება – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (დანართი №1);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა, 2025-2026 სასწავლო წელი (დანართი №1);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №4, 2025 წლის 23 დეკემბერი;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-03/65 ბრძანება, კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *საპირფარეშოს სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების აქტები, 2025-2026 წლების პერიოდული მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *სკოლის მორიგეობის გრაფიკი – მასწავლებელთა და პერსონალის განაწილება სართულებისა და ეზოს მიხედვით;*
- *კვების ობიექტის (ბუფეტის) მონიტორინგის კითხვარი/აქტი, სანიტარული ნორმების შემოწმების შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სამასწავლებლოს, რესურსოთახი, დახურული სპორტდარბაზი და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი და სხვა დამხმარე სივრცეები. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. შემუშავებულია სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება, რომელიც ადგენს კომპიუტერებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობის წესებს.

სკოლა აკმაყოფილებს მატერიალური რესურსის ფლობის მოთხოვნას მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად. სსიპ - ბათუმის N23 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ოთხსართულიან შენობაში. <u>საჯარო რეესტრის მონაცემების გადამოწმება ვერ მოხერხდა, რადგან სკოლას არ აქვს ამონაწერი.</u>

<u>ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ საკლასო ოთახებში ფანჯრის რაფები იწყება იატაკის დონიდან ძალიან დაბალ ნიშნულზე. ფანჯრის კონსტრუქცია იმდენად დაბალია, რომ მოსწავლის მხრიდან მასზე გადაბიჯება და ვარდნა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. ჩანს, რომ სკოლას მცდელობა ჰქონდა შეეზღუდა ფანჯრის გახსნა ჰორიზონტალური რკინის დგარით,</u>

თუმცა ეს მეთოდი არის კუსტარული, არ შეესაბამება სამშენებლო უსაფრთხოების ნორმებს და არ არის დანერგილი ყველა კლასში ერთიანად.

კიბის მარშებს შორის არსებობს სახიფათო ღიობები (ცარიელი სივრცეები). კიბის უჯრედში არსებული ეს სიცარიელე არ არის დაცული შესაბამისი სიმაღლისა და მედეგობის მოაჯირებით ან დამცავი ბადით. აღნიშნული წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც მოსწავლის გადავარდნის ალბათობა კრიტიკულად მაღალია.

სკოლის ეზოს უკანა მხარის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ეზოს არ გააჩნია მყარი პერიმეტრული შემოღობვა. ნაცვლად სტანდარტული ღობისა, გამოყენებულია ხის ტოტები და დაზიანებული მასალები, რაც ვერ უზრუნველყოფს ტერიტორიის დაცულობას. ღობის არარსებობის გამო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია გარეშე პირების ან მაწანწალა ცხოველების შემოჭრა. ასევე, უშუალოდ სკოლის შენობის მომიჯნავედ გაედინება ღია წყლის ნაკადი, რომელიც დაჭაობებულია და დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. დაჭაობებული წყალი წინაპირობაა მავნე მიკროორგანიზმებისა და მწერების გამრავლებისთვის. რაც ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები. კერძოდ, საკლასო ოთახების ფანჯრებზე დაამონტაჟა უსაფრთხო კონსტრუქციის მოაჯირები; დაგეგმილი აქვს მუნიციპალიტეტის შესაბმის სამსახურთან კომუნიკაციით სკოლის შენობის მომიჯნავედ არსებული ღია წყლის ნაკადზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა; გაწერილი აქვს სკოლის შენობის საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვება არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა; მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კიბის უჯრედში უსაფრთხო კონსტრუქციის მოაჯირები დამონტაჟულია; არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა სკოლის ეზო იქნება სრულად შემოღობილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას დამაჯერებელს ხდის ფაქტორები, რომლებიც დოკუმენტში ასახული აქტივობების რეალისტურობასა და სისტემურობას უსვამს ხაზს კერძოდ, კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გააზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ფლობს შესაბამის ფართს და რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. სკოლაში არსებობს მოქმედი კომპიუტერული ლაბორატორია. 2025 წლის ივლისის მდგომარეობით მიღებულია ახალი პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები), რაც აძლიერებს ციფრულ ინფრასტრუქტურას. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სივრცეების ხელმისაწვდომობას მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები).

სკოლის ინფრასტრუქტურა გათვლილია მოსწავლეთა დადგენილ ზღვრულ რაოდენობაზე. სკოლა ორიენტირებულია განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე, რაც მოიცავს სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებულ მიდგომებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ბიბლიოთეკის დებულება, სარგებლობის წესი და შრომითი ხელშეკრულება) საფუძველზე, დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესების შესაბამისად.

სკოლაში საბიბლიოთეკო მომსახურება ეფუძნება მკაფიოდ გაწერილ შიდა რეგულაციებს. დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N01-03/8 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს მომხმარებელთა წრეს (მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია), რეგისტრაციის პროცედურას და წიგნების გატანის წესს. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების დებულება დამტკიცებულია 2025 წლის 20 ოქტომბრის N01-03/72 ბრძანებით, რომელიც ადგენს ბიბლიოთეკის მისიას — წიგნიერი გარემოს შექმნას და სასწავლო პროცესის მხარდაჭერას.

სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებში შედის წიგნადი ფონდის აღრიცხვა, მკითხველთა მომსახურება, ლიტერატურული ღონისძიებებისა და გამოფენების მოწყობა.

ბიბლიოთეკა სთავაზობს როგორც ბეჭდურ (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა), ისე ელექტრონულ რესურსებს. წიგნების გამოყენება შესაძლებელია როგორც ადგილზე (საკითხავ დარბაზში), ისე სახლში გატანის წესით. დებულება ითვალისწინებს არა მხოლოდ წიგნის გაცემას, არამედ საგანმანათლებლო პროექტების, კონკურსების, ვიქტორინებისა და ავტორებთან შეხვედრების ორგანიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ნაწილი მოძველებულია. სასურველია, ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ფონდის ეტაპობრივი განახლების (დეზინვენტარიზაციისა და ახალი შესყიდვების) პროცესი.*

სასურველია, სკოლამ დაიწყოს მუშაობა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს სერვისების ხელმისაწვდომობას.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს და უპასუხებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლის შენობა (აშენებული 2020 წელს) დაპროექტებულია შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლის მთავარ და გვერდით შესასვლელებთან დამონტაჟებულია პანდუსები.

შენობის ოთხივე სართულზე გადაადგილების მიზნით ფუნქციონირებს გამართული ლიფტი. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშოები. სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად სკოლაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი, სადაც სპეციალური მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან. სპორტული სივრცეები (გასახდელებითა და საშხაპეებით) ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის შენობა (აშენებული 2020 წელს) მოიცავს არა მხოლოდ საკლასო ოთახებს,

არამედ სპეციალურ სივრცეებს სოციალური და კულტურული აქტივობებისთვის. სააქტო დარბაზი გამოიყენება კონფერენციების, პრეზენტაციებისა და კულტურული ღონისძიებებისთვის. ბიბლიოთეკაში, გარდა წიგნების გაცემისა, დებულების მიხედვით, იგეგმება შეხვედრები ავტორებთან, ვიქტორინები და ლიტერატურული გამოფენები. სკოლას აქვს როგორც დახურული დარბაზი (გასახდელებითა და საშხაპეებით), ისე ღია მოედანი ეზოში, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და გუნდურ აქტივობებს. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი (ბუფეტი): წარმოადგენს მოსწავლეების სოციალიზაციის მნიშვნელოვან ადგილს. სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში ხაზგასმულია, რომ ინფრასტრუქტურა გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- კლუბური მუშაობა: ხელოვნების კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით გაერთიანებას (მაგ. ქორეოგრაფიული წრე „ერისეული“, სახელოვნებო წრეები);
- მოსწავლეთა თვითმმართველობა: მათ აქვთ წვდომა სკოლის რესურსებზე საკუთარი ინიციატივების (პროექტების, დებატების) განსახორციელებლად.

გასაუბრებისას აღნიშნა დირექტორმა, რომ სკოლა ღიაა მშობლებისა და თემის წევრებისთვის. ინფრასტრუქტურა (დარბაზები, ეზო) იძლევა საშუალებას, სკოლა გახდეს ადგილობრივი საზოგადოების კულტურული ცენტრი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/72 (20.10.2025) ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/70 (20.10.2025) სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/8 (05.02.2026) „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/7 (18.10.2025) „ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული);*

- *შრომითი ხელშეკრულება N10 (01.09.2022) გაფორმებული სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლასა და ბიბლიოთეკარს შორის;*
- *შრომითი ხელშეკრულება N137 (27.09.2021) გაფორმებული აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „გეპას“ შორის (პროექტორების შესყიდვაზე);*
- *მიღება-ჩაბარების აქტი (30.07.2025) ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ სკოლისთვის პორტაბელური კომპიუტერების (Lenovo V15 G4 IRU) გადაცემის შესახებ;*
- *მიღება-ჩაბარების აქტი N2 (ოქტომბერი, 2021) აჭარის ა.რ. განათლების სამინისტროს მიერ სკოლისთვის პროექტორებისა და აქსესუარების გადაცემის შესახებ;*
- *დანართი N1 (ხარჯთაღრიცხვა - 2021) პროექტორების, ეკრანების, საკიდების და დინამიკების შესყიდვის შესახებ;*
- *წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო უწყისი: სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ნუსხა (დანართი N57);*
- *სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო* წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლა ფლობს 22 პერსონალურ კომპიუტერს, 48 ნოუთბუქს (Lenovo V15 G4 IRU მოდელის 39 ერთეული ახალი ნოუთბუქი მიღებულია 2025 წელს) და 19 პროექტორს. ტექნოლოგიური რესურსი ხელმისაწვდომია ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია 22 პერსონალური კომპიუტერით, ასევე 48 ნოუთბუქი და 19 პროექტორი შესაბამისი ეკრანებით. 2025 წლის მონაცემებით, სკოლამ დამატებით მიიღო 39 ახალი პორტაბელური კომპიუტერული ტექნიკა (Lenovo V15 G4 IRU).

სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნულია და ვიზიტის დროსაც გამოვლინდა, რომ სიჩქარე არის დაბალი.

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების განრიგი, მაგრამ სკოლაში *ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესი* არ აქვს შემუშავებული.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ შეიმუშავა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესი, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 6 აპრილის N 01-03/15 ბრძანებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მიღება-ჩაბარების აქტი (30.07.2025): პორტაბელური კომპიუტერების (Lenovo V15 G4 IRU) გადაცემის შესახებ.* N32021403/04/19 ხელშეკრულების ფარგლებში;

- *მიღება-ჩაბარების აქტი N2 (ოქტომბერი, 2021): პროექტორებისა და აქსესუარების გადაცემის შესახებ.* სახელმწიფო შესყიდვების N137 ხელშეკრულების ფარგლებში*;*
- *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა: სერვერები, ქსელური აპარატურა და პროექტორები. საქმისწარმოების წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით).* ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა „eflow"-ს გამოყენების ინსტრუქცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის N01-03/78 ბრძანებით. დოკუმენტი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი N10, 08.12.2023) და პედაგოგიურ საბჭოსთან (ოქმი N9, 06.12.2023).

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი და შრომითი ხელშეკრულების ნიმუში ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში არსებობს დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებული სისტემა, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სისტემას eflow.emis.ge გასული და შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციისთვის. მკაფიოდ არის გამიჯნული შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია. შიდა დოკუმენტაცია მოიცავს ბრძანებებს, ოქმებს, ხელშეკრულებებსა და სხვა აქტებს. განსაზღვრულია ბრძანებების ტიპები (ძირითადი საქმიანობა, პირადი შემადგენლობა, ადმინისტრაციული, მოსწავლეთა შესახებ) და მათი რეკვიზიტები. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, საქმისწარმოების გამართულ მუშაობაზე, დოკუმენტაციის აღრიცხვაზე, არქივის დაცვასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების წესსა და შრომით ხელშეკრულებაში ასახულია პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, საქმისწარმოების წესს დაემატოს დეტალური თავი დოკუმენტების შენახვის ვადებისა და არქივის წარმოების შესახებ.*

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. საქმისწარმოების პროცესი ეყრდნობა შემდეგ პლატფორმებს:

- eflow.emis.ge: ეს არის დოკუმენტბრუნვის ძირითადი ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება გასული დოკუმენტაციის ნუმერაციის მინიჭება, რეგისტრაცია და თარიღის აღრიცხვა. ასევე, სისტემა გამოიყენება შემოსული კორესპონდენციის დასაფიქსირებლად და სარეგისტრაციო ნომრის მისანიჭებლად;
- eschool.emis.ge: სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელშიც მუშაობა არის გაწერილი საქმისმწარმოებლის მოვალეობებში (მუხლი 3.3.17). ეს პლატფორმა გამოიყენება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ფორმირებისთვის, მობილობისთვის და პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისთვის;
- ელექტრონული ფოსტა: გამოიყენება როგორც დოკუმენტაციის მოწოდების ერთ-ერთი ოფიციალური საშუალება. წესის მიხედვით, 17:00 საათის შემდეგ ელექტრონულად მიღებული კორესპონდენცია მომდევნო სამუშაო დღეს რეგისტრირდება.

ელექტრონული სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს გამჭვირვალობას - დოკუმენტის მოძრაობის ციკლი (შექმნიდან შენახვამდე) სრულად კონტროლდება; ოპერატიულობას - ინფორმაციის დამუშავება და ადრესატამდე მიტანა ხდება სწრაფად; ვალიდურობას - სისტემაში რეგისტრირებული დოკუმენტი ავტომატურად იღებს სარეგისტრაციო ნომერსა და თარიღს, რაც გამორიცხავს დოკუმენტების უკანა თარიღით გაფორმების რისკს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა მოინახულეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე, სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა ჯეროვნად და დროულად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან (სამინისტრო, ხარისხის ცენტრი, რესურსცენტრი) ანგარიშგებისა და თანამშრომლობის პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც სკოლა სტაბილურად იცავს.

სკოლა აქტიურად იყენებს eflow.emis.ge სისტემას, რაც უზრუნველყოფს ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული მითითებების მყისიერ რეგისტრაციასა და შესრულებას. ოფიციალური კორესპონდენციის (წერილები, ანგარიშები) დროულ გაგზავნას ადრესატებთან. დოკუმენტბრუნვის გამჭვირვალობას, რაც გამორიცხავს ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების რისკებს.

სკოლა სისტემატურად ანახლებს მონაცემებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool), რაც თავისთავად წარმოადგენს მარეგულირებელთან მუდმივი უკუკავშირის ფორმას. ეს მოიცავს მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის შესახებ ინფორმაციას; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების ასახვას; წლის ბოლოს წარჩინებულ მოსწავლეთა და ატესტატის მაძიებელთა სიების გადაგზავნას.

თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. მაგალითად, ვაკანსიების გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიების მუშაობის პროცესში რესურსცენტრის წარმომადგენელი ყოველთვის არის ჩართული, რაც უწყებათაშორისი თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

ამრიგად, სკოლა სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორს, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ ანგარიშგებასა და მჭიდრო თანამშრომლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №01-03/78 ბრძანებით;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სხდომის ოქმი №10 (8 დეკემბერი), საქმისწარმოების წესის შეთანხმების შესახებ;*

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №9 (6 დეკემბერი). საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №7 (18 ოქტომბერი). სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება №01-03/78. საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;*
- *შრომითი ხელშეკრულება №11 (1 სექტემბერი), დამსაქმებელსა და საქმისმწარმოებელს შორის;*
- *მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;*
- *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). eflow.emis.ge - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;*
- *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). eschool.emis.ge - ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ოფიციალური ვებ-პორტალი: skolebi.emis.ge/schools/538.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის მიერ საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია სხვადასხვა არხების საშუალებით დასტურდება შემდეგი გარემოებებით: ოფიციალური ვებ-გვერდი და ელექტრონული კომუნიკაცია - სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: Batumi23@mes.gov.ge .

გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის გამჭვირვალე და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს კომპეტენციის ფარგლებში. სკოლა აქტიურად იყენებს მშობელთა კრებებს ინფორმაციის მისაწოდებლად. მაგალითად, მე-9 კლასის მშობელთა კრებაზე (10.10.2025) მშობლებს გააცნეს მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანების აღრიცხვის ახალი ფორმა. დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააცნონ შინაგანაწესი მოსწავლეებსა და მშობლებს.

სოციალური ქსელები გამოიყენება სასკოლო ცხოვრების გასაშუქებლად, რაზეც მშობლები წერილობით თანხმობას აცხადებენ (მოსწავლეთა ფოტო/ვიდეო მასალის განთავსებაზე).

ამრიგად, სკოლაში დანერგილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ციფრულ (ვებ-პორტალი, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელი), ისე ტრადიციულ (საინფორმაციო დაფა, მშობელთა კრებები) არხებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესს, განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს და ელექტრონულ ფოსტას, რაც უზრუნველყოფს გავრცელებული მონაცემების ავთენტურობას. დაწესებულებას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული და დეკლარირებული მის მიერ განსახორციელებელი პროგრამები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის), მათი სწავლების ენა (ქართული) და განხორციელების ადგილი. სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის გამჭვირვალე და მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს კომპეტენციის ფარგლებში. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირებულობას როგორც პირადი კომუნიკაციით (დამრიგებლის მიერ შინაგანაწესის გაცნობა), ისე საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.ამრიგად, სკოლაში არსებული რეგულაციები და საკომუნიკაციო პრაქტიკა ქმნის მყარ საფუძველს საზოგადოებისათვის მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა იყენებს როგორც პირდაპირი (მშობელთა კრებები, პედაგოგიური საბჭო), ისე დისტანციური (ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი) კომუნიკაციის ფორმებს. ეს უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) აზრის მოსმენას. ოქმებიდან (მაგალითად, მე-9 კლასის მშობელთა კრების ოქმი) ჩანს, რომ სკოლა ახდენს რეაგირებას არსებულ საჭიროებებზე. მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანების აღრიცხვის ახალი ფორმის

შემოღება სწორედ მშობლებთან კომუნიკაციისა და მონიტორინგის გაუმჯობესების მცდელობაა, რაც მჭიდროდ უკავშირდება სწავლების ხარისხის ამაღლებას.

სკოლის თვითშეფასებისა და შინაგანაწესის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალეა. სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების მიერ ისეთი დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება, როგორიცაა შინაგანაწესი, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ითვალისწინებს შიდა და გარე უკუკავშირს რეგულაციების დახვეწისას.

თავად ის ფაქტი, რომ სკოლამ მოამზადა დეტალური თვითშეფასების ფორმა, მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება ახდენს საკუთარი საქმიანობის ანალიზს, იკვლევს ძლიერ და სუსტ მხარეებს და მიღებულ ინფორმაციას იყენებს განვითარების დაგეგმვისთვის.

შინაგანაწესში გაწერილი ნორმები (მათ შორის დისკრიმინაციისა და შევიწროების პრევენცია) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მგრძნობიარეა სოციალური უკუკავშირის მიმართ და ცდილობს შექმნას უსაფრთხო და ხარისხიანი სასწავლო გარემო.

ამრიგად, სკოლა სისტემურად აგროვებს უკუკავშირს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით და მას იყენებს როგორც ადმინისტრაციული მართვის, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად. ინფორმაციის გაცვლა მშობლებთან და თანამშრომლებთან ემსახურება საერთო მიზანს — საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც მითითებულია საკონტაქტო ინფორმაციაში. ვინაიდან სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი სწავლების ენა არის ქართული, ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე. ეს მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სხვა ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

სკოლა ახორციელებს სწავლებას მხოლოდ ქართულ ენაზე (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე). შესაბამისად, ვებ-გვერდზე ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსებით სრულად კმაყოფილდება მოთხოვნა — ინფორმაცია ხელმისაწვდომია სწავლების ენაზეც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების დროულ და ობიექტურ ინფორმირებას. skolebi.emis.ge პორტალზე შექმნილი შესაბამისი გვერდი მოიცავს ძირითად მონაცემებს დაწესებულების მისიის, პროგრამებისა და სერვისების შესახებ. დამატებითი დოკუმენტაცია (გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური ანგარიშები, შინაგანაწესი) ხელმისაწვდომია სკოლის ადმინისტრაციულ პორტალზე ან ფიზიკურად საინფორმაციო დაფებზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობის სტანდარტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N6 სხდომის ოქმით; განხილული პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 7 სექტემბრის N5 სხდომის ოქმით);*
- *სმე-9 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (10.10.2025) მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანების აღრიცხვის ახალი ფორმა (დანართი N1, 10.10.2025-ის ოქმის მიხედვით);*
- *მშობელთა წერილობითი თანხმობები (ხელწერილები) მოსწავლეთა ფოტო/ვიდეო მასალის სოციალურ ქსელში განთავსების შესახებ (დანართი N3);*
- *skolebi.emis.ge/schools/538*
- *სკოლის სოციალური გვერდი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის ფინანსური დაგეგმვა მჭიდრო უკავშირდება მის სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმას. სკოლა ახორციელებს შემოსავლების (ვაუჩერული დაფინანსება, იჯარა) პროგნოზირებას და მათ მიზნობრივ განაწილებას სასწავლო და ორგანიზაციული საჭიროებებისათვის.

ამრიგად, სკოლას გააჩნია გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესი და ფინანსური რესურსები მიმართულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესასრულებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს მომავალი წლის ფინანსურ დაგეგმვას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით. მაგალითად, 2026 წლის პროექტი დეტალურად განსაზღვრავს როგორც შემოსავლებს (ვაუჩერული დაფინანსება, იჯარა), ისე ხარჯებს. ფინანსური დაგეგმვა ეფუძნება სამოქმედო გეგმას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები ისეთი პრიორიტეტებისთვის, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სასწავლო პროცესის მხარდაჭერა.

ფინანსური რესურსების განკარგვა ხდება გამჭვირვალედ. დირექტორი წარადგენს ბიუჯეტის პროექტს, ხოლო სამეურვეო საბჭო იხილავს და ამტკიცებს მას. ეს პროცესი დადასტურებულია 2025 წლის 10 დეკემბრის №9 ოქმით, სადაც საბჭომ განიხილა 2026 წლის ბიუჯეტი. სკოლას აქვს ხარჯების მართვის მკაფიო სტრუქტურა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა. სკოლის მართვის სისტემა ითვალისწინებს დირექტორის ვალდებულებას, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარადგინოს ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე.

ბიუჯეტში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს სამეურვეო საბჭოს დასტურს, რაც უზრუნველყოფს ფინანსების მიზნობრივ ხარჯვას და შიდა მონიტორინგს.

ამრიგად, სკოლის ფინანსური მართვის სისტემა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს, ვინაიდან იგი არის დოკუმენტირებული (ბიუჯეტის პროექტები, ოქმები), მონაწილეობითი (სამეურვეო საბჭოს ჩართულობა) და შედეგზე ორიენტირებული (რესურსების მიმართვა სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისკენ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 18 ოქტომბრის №7 სხდომის ოქმით;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №9 (2025 წლის 10 დეკემბერი), (სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი - ხარჯების დანართი (დანართი №1);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი, (დანართი №2);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი - საშტატოს დანართი (დანართი №3). ინფორმაცია პერსონალის რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის მოხსენებითი ბარათი სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისადმი (2025 წლის დეკემბერი). 2025 წლის ფინანსური ანგარიშისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შესახებ;*
- *ოფიციალური კორესპონდენცია: MES 9 25 0000993547 (2025 წლის 18 აგვისტო). სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის მიმართვა ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი საპროგნოზო ბიუჯეტის წარდგენის თაობაზე.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც იქმნება დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით. კომიტეტში მოსწავლეთა ინტერესების დასაცავად გარანტირებულია მათი წარმომადგენლის მონაწილეობა (მაგ: 2025 წლის 17 ოქტომბრის ოქმით არჩეულ იქნენ მოსწავლეთა წარმომადგენლები).

სკოლაში არჩეულია და ფუნქციონირებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეები ჩართულნი არიან სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სკოლის განვითარების პროცესში. თვითმმართველობა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს (სასკოლო კლუბების შექმნა, პროექტი „არა ნიკოტინს“, ექსკურსიები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და მათი ინტერესების გამოვლენას.

სკოლაში დანერგილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები. უსაფრთხოებაზე ზრუნავენ მანდატურები, დარაჯები და მოქმედებს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა უფლებების დაცვას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და სპეციალური მასწავლებლების მეშვეობით. მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის არსებობს პარტნიორული და პოზიტიური ურთიერთობა, რაც ქმნის მხარდამჭერ სასწავლო გარემოს.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს მყარი მექანიზმები მოსწავლის უფლებების დასაცავად. მოსწავლეთა ჩართულობა დისციპლინურ კომიტეტსა და თვითმმართველობის ორგანოში, ასევე უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა, ქმნის კანონით გათვალისწინებულ გარანტიებს მათი სრულფასოვანი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი და დისციპლინური ეთიკის ნორმები საჯაროა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადი პრინციპები, მათ შორის მოსწავლის უფლებები, შეთანხმებული და გაზიარებულია ყველა მხარის მიერ.

მოსწავლეთა თვითმმართველობა (საბაზო და საშუალო საფეხურის) არ არის ფორმალური ორგანო. ოქმებიდან (მაგ. №1 ოქმი, 20.10.2025) ჩანს, რომ ისინი აქტიურად გეგმავენ სასწავლო და კლასგარეშე აქტივობებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, რაც გამორიცხავს დახურულ კარს მიღმა გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყოფს სამართლიანობის განცდას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია და ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური კომუნიკაციისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნაზე.

ისეთი პროექტები, როგორიცაა „არა ნიკოტინს“ ან სასკოლო კლუბების დაფუძნება, ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების რეალიზებასა და მათთვის უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ამრიგად, დაწესებულებაში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ გავრცელებას. შიდა რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურადაა გაწერილი, არამედ პრაქტიკულად ხორციელდება მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის მეშვეობით, სადაც მოსწავლეთა ხმა გადამწყვეტია. ეს ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რაც გამომდინარეობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან. სკოლის შიდა რეგულაციები (შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს ან სამართლებრივ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს ხელშეკრულების პირობების მკაფიოდ გადმოსაცემად: სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის ჩარიცხვისთანავე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გაეცნოს სკოლის წესდებასა და შინაგანაწესს. სკოლის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის უფლებრივ მდგომარეობას, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც გამორიცხავს ბუნდოვანებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის ოქმები მიუთითებს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი მოსწავლის უფლებების დაცვის ვალდებულება პრაქტიკაშიც სრულდება: მოსწავლეებს აქვთ რეალური მექანიზმი (წარმომადგენლობა დისციპლინურ კომიტეტში), დაიცვან თავიანთი ინტერესები, რაც ხელშეკრულების გამჭვირვალობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

ამრიგად, სსიპ ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ურთიერთობა ეფუძნება კანონმდებლობის შესაბამის, მკაფიო და გამჭვირვალე პრინციპებს. ხელშეკრულებითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პირობები საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე აღებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, რაც დასტურდება მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და დისციპლინური წარმოების გამჭვირვალეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1. (2025 წლის 20 ოქტომბერი);*
- *საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი №1. (2025 წლის 17 ოქტომბერი);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი (მოქმედი რედაქცია);*
- *სკოლასა და მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გაფორმებული ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა;*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმები). (2025-2026 სასწავლო წელი). მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და უცხოური ენების კურიკულუმები (დანართები №26, №27, №28);*
- *დისციპლინური კომიტეტის დებულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას აქვს განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურები, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას: პირველ კლასში რეგისტრირდება პირი, რომელსაც 1 ოქტომბრამდე უსრულდება 6 წელი. დადგენილია მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა (25 მოსწავლე), რაც სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება გაიზარდოს 29-მდე. გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პრიორიტეტული რეგისტრაციისა და პარალელურ კლასებში პროპორციული გადანაწილების მექანიზმი. განსაზღვრულია სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, მათ შორის უცხოენოვანი დოკუმენტების თარგმნის საჭიროება.

სკოლა იცავს მობილობის გამჭვირვალე წესებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. პროცესი ხორციელდება ელექტრონული სისტემის (eschool.emis.ge) მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ დავის შემთხვევაში სკოლა არ ადასტურებს მობილობას ორივე მშობლის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სტატუსის შეჩერების საფუძველია 45-დღიანი უმიზეზო გაცდენა, საზღვარგარეთ გამგზავრება ან მშობლის განცხადება. სტატუსის შეჩერებამდე სკოლა ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს (მე-10 და მე-20 დღეს), რაშიც ერთვება დამრიგებელი და სოციალური მუშაკი.

საბაზო და საშუალო საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ საფეხურის საშუალო ქულაა 5.0 ან მეტი. განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის წესი (5 ქულაზე ნაკლების შემთხვევაში) და ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების შესაძლებლობა. ექსტერნის წესით საფეხურის/კლასის დაძლევისას მოსწავლე კარგავს მედლის მოპოვების უფლებას.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს პირველ კლასში ჩარიცხვის გამჭვირვალე ეტაპები და ასაკობრივი ზღვარი. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობაა 25, თუმცა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია 29-მდე გაზრდა. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეგისტრაციას პირველ ეტაპზე და მათ პროპორციულ გადანაწილებას პარალელურ კლასებში. ჩასარიცხად სავალდებულოა კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, დაბადების მოწმობის ასლი და, საჭიროების შემთხვევაში, უცხოენოვანი დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

სტატუსის მართვის წესები მკაცრად არის რეგლამენტირებული და მოიცავს პრევენციულ ზომებს: სტატუსი ჩერდება 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ გაცდენის, საზღვარგარეთ გამგზავრების ან მშობლის განცხადების საფუძველზე. გაცდენების მე-10 და მე-20 დღეს დამრიგებელი ამზადებს წერილობით ანგარიშს, ხოლო 20 დღის შემდეგ პროცესში ერთვება სოციალური მუშაკი. სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეს სტატუსი შეუწყვიტოს მე-10 კლასიდან.

მობილობის პროცესი ხორციელდება ელექტრონულად და ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის რისკებს. პროცესი მიმდინარეობს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge). თუ მშობლებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა მობილობის თაობაზე, სკოლა არ ადასტურებს მოთხოვნას საბოლოო გადაწყვეტილებამდე ან ორივე მშობლის თანხმობამდე.

აკადემიური წინსვლის შეფასება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ საშუალო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი. სკოლას აქვს უფლება წელიწადში არაუმეტეს ორ საგანში დანიშნოს გამოცდა. თუ წლიური ქულა 5-ზე ნაკლებია, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე რომელიმე საგანს ექსტერნატის წესით დაძლევს, ის კარგავს მედლის მიღების უფლებას.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი რეგულაციები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს ყველა საჭირო სამართლებრივი მექანიზმი მოსწავლეთა სტატუსისა და აკადემიური პროცესების მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონშესაბამისობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა რეგულაციებითა და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ძირითადი ინფორმაციის გამჭვირვალობას: სკოლის მიერ დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (ბრძანება N01-03/77) წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს. წესის მე-3 მუხლის თანახმად, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის.

ინფორმაცია სასწავლო გეგმების, საგნობრივი პროგრამებისა და შეფასების სისტემის შესახებ ხელმისაწვდომია სკოლის შიდა ქსელში და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფა, სკოლის ვებგვერდი ან სოციალური გვერდი).

მოსწავლის უფლება-მოვალეობები და ქცევის ნორმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც საჯაროა და მას ეცნობიან მოსწავლეები და მშობლები სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

ვინაიდან სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადი განათლების მიღება უფასოა. თუმცა, თუ სკოლა სთავაზობს დამატებით ფასიან მომსახურებას (მაგ. გახანგრძლივებული ჯგუფი ან წრეები), ინფორმაცია საფასურის შესახებ წინასწარ უნდა იყოს დეკლარირებული და ხელმისაწვდომი მშობლებისთვის.

ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს შემდეგი არხებით: სკოლის საერთო კრება და მშობელთა შეხვედრები: რომლებზეც ხდება შიდა რეგულაციებისა და სიახლეების გაცნობა; სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი და ელექტრონული ფოსტა (batumi23@mes.gov.ge), სადაც მშობელს შეუძლია გამოითხოვოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია; სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული დოკუმენტაცია.

ამრიგად, სკოლა აკმაყოფილებს ინფორმაციის საჯაროობის სტანდარტს. მოსწავლის ჩარიცხვის პროცესში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებულობასა და პროცესის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ დამტკიცებული ყველა ძირითადი დოკუმენტი (მათ შორის, მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის მართვის წესი) ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებებს (მაგ. N04/ნ ბრძანება). ეს უზრუნველყოფს, რომ გავრცელებული ინფორმაცია სამართლებრივად გამართული და ვალიდურია.

სკოლა ინფორმაციის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს მრავალმხრივი კომუნიკაციის არხებით:

- სკოლის პერსონალი (დამრიგებლები, ადმინისტრაცია) რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მშობლებსა და მოსწავლეებს პროგრამებისა და სერვისების შესახებ;
- წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს საჯაროობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებთან;
- სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად გასავრცელებლად.

დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციების გადახედვას. მაგალითად, 2023 წლის 11 დეკემბრის ბრძანება (N01-03/77) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა აახლებს თავის შიდა ნორმატიულ ბაზას ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად. პერსონალი ვალდებულია მშობლებს მიაწოდოს მხოლოდ აქტუალური ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და სიახლეების შესახებ.

ინფორმაციის გავრცელების პროცესში სკოლა მკაცრად იცავს თანასწორობის პრინციპს: ჩარიცხვისა და სერვისების შეთავაზებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეებს. ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომია თანაბარ პირობებში, ყოველგვარი სტიგმატიზაციის გარეშე; სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამებისა და რესურსების შესახებ მიემართება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური კუთვნილებისა; დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში სკოლა ითხოვს თარგმანს, რაც უზრუნველყოფს პროცედურულ სიზუსტეს და გამორიცხავს გაუგებრობას სხვადასხვაენოვანი ჯგუფებისთვის.

ამრიგად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები არის კანონშესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რაც ქმნის სანდო და ღია გარემოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლის პერსონალი მოქმედებს პროფესიული ეთიკის ფარგლებში, რაც გამორიცხავს მიკერძოებული ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/77 (2023 წლის 11 დეკემბერი);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (დანართი N1);*
- *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის მართვის ელექტრონული ბაზა (eschool.emis.ge);*
- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გაცნობას, რაც ხელს უწყობს ახალი მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებულობასა და გარემოსთან შეგუებას.

სკოლაში სწავლობს 19 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც ადაპტაციისა და სწავლის პროცესს უზრუნველყოფს 2 სპეციალური მასწავლებელი. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც წარმოადგენს სასწავლო გარემოსთან მათი ადაპტაციის ძირითად ინსტრუმენტს.

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. პერიოდულად ტარდება საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიები მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რაც ეხმარება მათ სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციასა და წესების გააზრებაში.

მოსწავლეთა ადაპტაციისთვის მნიშვნელოვანია დაცულობის განცდა, რასაც სკოლა უზრუნველყოფს 2 მანდატურის, 24-საათიანი დაცვის (დარაჯი) და ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მეშვეობით.

ამრიგად, დასტურდება, რომ სკოლაში ადაპტაციის მექანიზმი კომპლექსურია და მოიცავს როგორც ინფორმაციულ მხარდაჭერას (ხელშეკრულებების გაცნობა, კამპანიები), ისე პერსონალიზებულ მიდგომას (სპეციალური მასწავლებლები, ინდივიდუალური გეგმები) და ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას (მანდატურები, მრჩეველთა საბჭო).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდანვე აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმებს. სწავლის დაწყებისთანავე დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისა და მშობლებისათვის სკოლის შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების გაცნობას. ეს პირველადი ნაბიჯი ეხმარება მოსწავლეს სასკოლო მოთხოვნებისა და გარემოს გარკვევაში, რაც ამცირებს გაურკვევლობით გამოწვეულ სტრესს.

ერთწლიანი გეგმის მონიტორინგით დასტურდება სადამრიგებლო პროგრამების ეფექტური შესრულება. დამრიგებელი არის მთავარი რგოლი, რომელიც სწავლის დაწყების ფაზაში აკვირდება თითოეული მოსწავლის სოციალიზაციის პროცესს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას კლასში.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს (სსსმ). მათთვის სასწავლო წლის დასაწყისშივე მუშაობს 2 სპეციალური მასწავლებელი და იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც გარემოსთან მათი ადაპტაციის უმთავრესი წინაპირობაა.

დოკუმენტებში დაფიქსირებული აქტივობა „პოზიტიური გარემოს შექმნა“ უკავშირდება მოსწავლის ემოციურ სიმშვიდეს. მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო და ვიდეომონიტორინგი მოსწავლეს უქმნის დაცულობის განცდას პირველივე დღეებიდან.

სკოლა პერიოდულად ატარებს შეხვედრებსა და კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების (განსაკუთრებით ახალი წევრების) ინფორმირებულობას სკოლის კულტურისა და წესების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების სისტემა. კერძოდ, დამრიგებლის ფუნქციებში შედის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან კომუნიკაცია. მონიტორინგის ანგარიშში დადასტურებულია „სადამრიგებლო პროგრამების ეფექტურად შესრულების ხელშეწყობა“, რაც დაკავშირებულია მოსწავლის აკადემიურ ორიენტირებასთან. სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას და მათ ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ, რაც ხელს უწყობს ერთობლივი მხარდაჭერის მექანიზმის შექმნას.

ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი ადასტურებს ისეთი აქტივობების შესრულებას, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაკვირვება და ანალიზი. ეს პროცესი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ის მოსწავლეები, რომელთაც აკადემიური პრობლემები აქვთ და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია. სკოლა მუშაობს კურიკულუმების დახვეწაზე (მათ შორის ქართულ ენასა და მათემატიკაში), რაც მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთათვის მასალის უკეთ აღქმას.

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლის უფლებას, მიიღოს სრულყოფილი განათლება და ისარგებლოს სკოლის რესურსებით (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია), რაც აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ფიზიკური საფუძველია.

ამრიგად, სკოლა ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონსულტირებასა და მხარდაჭერას. ეს პროცესი ხორციელდება როგორც ზოგადი მექანიზმებით (დამრიგებლის კონსულტაციები, მშობელთა ჩართულობა), ისე სპეციფიკური მიდგომებით (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ადმინისტრაციის ვალდებულებას, გონივრულ ვადებში გასცეს საჭირო დოკუმენტაცია და ცნობები. კერძოდ, სკოლაში დადგენილია წესი, რომლის მიხედვითაც მოსწავლის/მშობლის განცხადებაზე რეაგირება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში (როგორც წესი, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს).

შინაგანაწესის მე-3 მუხლით, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლის უფლებების დაცვა და ხელი შეუწყოს მათ რეალიზებას.

სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დოკუმენტაციის (ბრძანებები, შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა) საჯაროობას. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც მოსწავლესა და მშობელს უადვილებს საკუთარი უფლებებით სარგებლობას.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ სკოლის ადმინისტრაციული რგოლი (დირექცია, საქმისწარმოება) გამართულად მუშაობს. დოკუმენტბრუნვის სისტემა და არქივი ორგანიზებულია ისე, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული მოთხოვნა (მაგალითად, მობილობის პროცესი, ატესტატის/ცნობის გაცემა) სრულდება შეფერხების გარეშე.

სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი და იყენებს საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS), რაც ამცირებს ბიუროკრატიულ ვადებს და უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ დამუშავებას.

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში (თვითმმართველობის მეშვეობით). ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ამრიგად, სკოლა სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი: 61 მასწავლებელი, მათ შორის 27 უფროსი, 19 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებელი. აღნიშნული რესურსი იძლევა საშუალებას, რომ არაფორმალური აქტივობები წარიმართოს მაღალპროფესიულ დონეზე. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ფონდით და წარმოადგენს არაფორმალური აქტივობების (ლიტერატურული კლუბები, დისკუსიები) ერთ-ერთ მთავარ კერას.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ადასტურებს, რომ სკოლაში შესრულებულია აქტივობა: „მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობა (კონფერენციები, ოლიმპიადები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები)“. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო კლუბების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, რაც არაფორმალური განათლების ძირითადი პლატფორმაა.

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას, რაც მათი ინიციატივების რეალიზების კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმია. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს თვითმმართველობის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლის ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია რესურსები იმ აქტივობებისთვის, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს (მაგ: ექსკურსიები, გამოფენები, შემეცნებითი გასვლები).

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა წახალისების მექანიზმებს განსაკუთრებული მიღწევებისა და აქტივობისთვის, რაც მოიცავს მადლობის გამოცხადებას, სიგელებით დაჯილდოებას და სხვა ფორმებს.

ამრიგად, სკოლაში შექმნილია მყარი სისტემა მოსწავლეთა არაფორმალური განვითარებისთვის. კვალიფიციური კადრების (მათ შორის წამყვანი და მენტორი მასწავლებლების) არსებობა და მონიტორინგის ანგარიშში ასახული შესრულებული აქტივობები ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკულად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

წარმოდგენილია კონკრეტული დოკუმენტები (მოსწავლის უკუკავშირი ქიმიაში და მოსწავლის უკუკავშირი მე და საზოგადოებაში), რომლებიც ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ორმხრივი კომუნიკაციის კულტურა. ეს უკუკავშირები შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს (მაგ: კავშირების ნაწილის გაუმჯობესება, დეტალების დამატება), რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და აკადემიური მომსახურების დახვეწაზე.

ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი ადასტურებს მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის აქტივობის შესრულებას. სკოლა იღებს უკუკავშირს მშობლებისგან, რაც აისახება სკოლის მართვისა და მომსახურების პროცესში.

სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა თავად არის მექანიზმი, სადაც სკოლა აანალიზებს საკუთარ საქმიანობას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებს, რათა დაგეგმოს გაუმჯობესების გზები.

სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევას. მონიტორინგის დოკუმენტში მონიშნული შესრულებული აქტივობები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ გამოწვევებზე და ახდენს მომსახურების მოდიფიცირებას (მაგ: სასწავლო პროცესის დაკვირვება და ანალიზი უკუკავშირის მისაღებად).

სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლას აქვს მექანიზმი, რომლითაც ის პერიოდულად იკვლევს მოსწავლეთა კმაყოფილებას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუმჯობესებს მათზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისებს.

ამრიგად, სკოლაში არსებობს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ციკლური პროცესი. მოსწავლეთა ნამუშევრებზე გაკეთებული კონსტრუქციული უკუკავშირები და სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი ადასტურებს, რომ

დაინტერესებულ მხარეთა (მოსწავლეების, მშობლების) აზრი გათვალისწინებულია სასწავლო და ადმინისტრაციული მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N6 ოქმით);*
- *2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი (დანართი N2). სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა;*
- *მოსწავლის უკუკავშირი ქიმიაში;*
- *მოსწავლის უკუკავშირი საგანში მე და საზოგადოება.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში შექმნილია მყარი სამართლებრივი საფუძველი კარიერული მომსახურების მისაწოდებლად: დირექტორის 2026 წლის 26 მარტის N01-03/13 ბრძანებით დამტკიცებულია „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დებულება“. შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორის მოადგილე და მე-9-დან მე-12 კლასის ჩათვლით დამრიგებლები. მომსახურება ვრცელდება სკოლის ყველა საფეხურის მოსწავლეზე, თუმცა პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფებად განსაზღვრულია IX და XII კლასები.

დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წლისთვის), რომელიც მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს. ტარდება კლასის საათები თემებზე: „მომავლის პროფესიები“ და „პროფესიის გზამკვლევი“. დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან (მაგ: სკოლის ექიმი, მანდატური), წარმატებულ კურსდამთავრებულებთან და უმაღლესი/პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. დებულებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური კონსულტაციები, ჯგუფური ტრენინგები, ტესტირება და სასწავლო ვიზიტები.

მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხის კონტროლი გარანტირებულია შემდეგი მექანიზმებით: აქტივობები გაწერილია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (ოქტომბერი, აპრილი, მაისი, ივნისი). სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს პროგრამის ყოველწლიურ მონიტორინგს. ეფექტიანობა ფასდება მოსწავლეთა ჩართულობით, უკუკავშირითა და ჩატარებული აქტივობების ხარისხით.

ამრიგად, წარმოდგენილი მტკიცებულებები (ბრძანებები, დებულება, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და წლიური გეგმა) ადასტურებს, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სისტემურად არის ორგანიზებული და ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლას ჰყავს პასუხისმგებელი პირები და გააჩნია კონკრეტული რესურსები მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლას აქვს დამტკიცებული სპეციალური დებულება, რომელიც განსაზღვრავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკასა და მექანიზმებს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მე-9-დან მე-12 კლასის ჩათვლით დამრიგებლები. ინფორმაციის მიწოდება ხდება გეგმაზომიერად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული წლიური გეგმის საფუძველზე.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს უშუალო წყაროებთან კომუნიკაციით: იმართება ვიზიტები და პრეზენტაციები უნივერსიტეტებისა და კოლეჯების წარმომადგენლებთან. შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ყველაზე მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

პროგრამის ეფექტიანობა და ხარისხი განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: ფასდება, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები შეთავაზებულ აქტივობებში.სისტემა ითვალისწინებს ბენეფიციართა აზრის მოსმენასა და გაანალიზებას. ხდება ჩატარებული აქტივობების რაოდენობისა და მათი შინაარსობრივი დონის შეფასება.

მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად. შექმნილი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება, რაც გულისხმობს წინა გამოცდილების გათვალისწინებას.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ახალი წლიური გეგმა. დებულება ითვალისწინებს მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რაც საჭიროების შემთხვევაში მომსახურების ფორმატების კორექტირების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, სკოლის შიდა ნორმატიული აქტები (დებულება და ბრძანებები) ქმნის გარემოს, რომელშიც მომსახურების შეფასება (უკუკავშირისა და მონიტორინგის გზით) დაკავშირებულია მომავალი წლის დაგეგმარებასთან. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ ხარისხის გაუმჯობესების პროცესი ეყრდნობოდეს ობიექტურ შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბრძანება №01-03/13 (26 მარტი, 2026 წელი): „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“, სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლა;*
- *ბრძანება №01-03/14 (26 მარტი, 2026 წელი): „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“, სსიპ - ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლა;*
- *კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დებულება: სსიპ ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი (8 მუხლი).*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები უფროს სპეციალურ მასწავლებელთან და სსსმ პირის ასისტენტთან. სპეციალური მასწავლებლის მოვალეობებში შედის სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემმუშავებელ ჯგუფში მონაწილეობა და მასწავლებლებისთვის

კონსულტაციების გაწევა ქცევის მართვის საკითხებზე. ასისტენტის ხელშეკრულება ითვალისწინებს მოსწავლისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას (მაგ. ტექსტის წაკითხვა, სტრატეგიების მონიშვნა, პრაქტიკული აქტივობების შესრულება) და მუდმივ სუპერვიზიას. ასევე, გაწერილია მოსწავლესა და თანაკლასელებს შორის კომუნიკაციის მხარდაჭერის მექანიზმი. სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი ადასტურებს, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა მიმდინარეობს სისტემატურად, კონკრეტული საგნობრივი გაკვეთილების მიხედვით მთელი კვირის განმავლობაში. მექანიზმი ითვალისწინებს სპეციალურ მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას რესურსოთახში და საგანმანათლებლო რესურსების შექმნას. შესაბამისად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მოქმედი სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასებას, ინდივიდუალურ დახმარებას და აკადემიური პროცესის მუდმივ მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა პირდაპირ და არსებითად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული მასწავლებლის ვალდებულება, არამედ გუნდური მუშაობის შედეგია.

სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ისგ (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) ჯგუფი, რომელშიც შედიან:

- საგნის მასწავლებლები: ისინი პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის ადაპტაციაზე;
- სპეციალური მასწავლებელი: კორდინაციას უწევს პროცესს და ეხმარება საგნის მასწავლებლებს სტრატეგიების შემუშავებაში;
- ფსიქოლოგი/თერაპევტი: ზრუნავს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე;
- მოსწავლის ასისტენტი (საჭიროების შემთხვევაში): ეხმარება მოსწავლეს ყოველდღიურ აქტივობებსა და მობილობაში.

თანამშრომლობის პრინციპი წარმოუდგენელია მშობლის ჩართულობის გარეშე. მშობელი არის ისგ ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი. მისი ინფორმაცია ბავშვის ინტერესების, ძლიერი მხარეებისა და სახლის გარემოს შესახებ გადამწყვეტია ეფექტური გეგმის შესადგენად.

მხარდაჭერა გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიურ დახმარებას, არამედ სოციალურ ინკლუზიას. სასკოლო საზოგადოება (მოსწავლეები, ადმინისტრაცია, დაცვა, დამლაგებელი) ქმნის გარემოს, სადაც სსსმ მოსწავლე თავს გრძნობს სრულფასოვან

წევრად. თანატოლების მხარდაჭერა და მათი ჩართულობა ერთობლივ პროექტებში მოსწავლის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტიმულია.

თანამშრომლობა ნიშნავს ინფორმაციის მუდმივ გაცვლას. მაგალითად, თუ სპეციალური მასწავლებელი აღმოაჩენს ახალ მეთოდს, რომელიც კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობს, ის ამას უზიარებს საგნის მასწავლებელს, რათა შედეგი ყველა გაკვეთილზე იყოს მიღწეული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შრომითი ხელშეკრულება N13 (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან);*
- *შრომითი ხელშეკრულება N2 (უფროს სპეციალურ მასწავლებელთან);*
- *სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი (II სემესტრი).*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებები (№1 და №2) ადასტურებს, რომ სკოლა დამატებით მომსახურებებს (კვება და ცეკვის წრე) თავად არ ახორციელებს, არამედ ამ მიზნით გასცემს იჯარით ფართებს შესაბამის ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

კვების მომსახურება (ბუფეტი): სკოლამ (სსიპ ბათუმის №23 საჯარო სკოლა) 2025 წლის 1 დეკემბერს გააფორმა იჯარის ხელშეკრულება №1 ფიზიკურ პირ მაგდა თურმანიძესთან. ხელშეკრულების საგანია სკოლის შენობის პირველ სართულზე

არსებული 53.10 კვ.მ. ფართის გადაცემა კვების ობიექტის (ბუფეტის) ფუნქციონირების მიზნით. მოიჯარე (მომსახურების მომწოდებელი) ვალდებულია დაიცვას თანამშრომელთა პირადი ჰიგიენისა და ფორმის წესები, ასევე, უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და სანიტარიული მოთხოვნების მუდმივი კონტროლი. სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, გააკონტროლოს ჯანსაღ კვებასთან, ჰიგიენასა და სანიტარიასთან დაკავშირებული საკითხები.

ცეკვის წრის მომსახურება: 2025 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება №2 ფიზიკურ პირ ნანა სარდალაშვილთან. ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია 130 კვ.მ. ფართი ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით. საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ამრიგად, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა დამატებით მომსახურებებს უზრუნველყოფს იჯარის მექანიზმის გამოყენებით, სადაც მომსახურების უშუალო განხორციელებაზე პასუხისმგებელია მოიჯარე (კერძო პირი). ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, რაც გულისხმობს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების არსებობას (მაგალითად, კვების ბლოკის შემთხვევაში სანიტარიული და უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების ორგანიზება შეესაბამება ნებაყოფლობითობისა და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს.

ხელშეკრულებები გაფორმებულია ელექტრონული აუქციონის (საინფორმაციო სისტემა eauction.ge) საფუძველზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფართების იჯარით გაცემა და მომსახურების ორგანიზება მოხდა სახელმწიფო ქონების მართვისა და განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით. როგორც წესი, საჯარო სკოლის მიერ ფართის იჯარით გაცემა საჭიროებს სამეურვეო საბჭოს (მართვის კოლეგიალური ორგანოს) თანხმობას.

კვების მომსახურება (ბუფეტი): იჯარის ხელშეკრულება №1-ის მიზანია კვების ობიექტის ფუნქციონირება. ხელშეკრულებაში ხაზგასმულია ჯანსაღი კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, რაც ემსახურება მოსწავლეთა კეთილდღეობასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ცეკვის წრე: იჯარის ხელშეკრულება №2-ის საგანია ფართის გადაცემა ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით. ეს მომსახურება პირდაპირ არის ორიენტირებული მოსწავლის შემოქმედებით და ფიზიკურ განვითარებაზე, მის ინტერესებსა და ნიჭის რეალიზებაზე.

ვინაიდან აღნიშნული მომსახურებები (კვება, ცეკვა) ხორციელდება იჯარით აღებულ ფართებში კერძო პირების მიერ, ისინი თავისი არსით არასავალდებულოა. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ არჩევანის თავისუფლება, ისარგებლონ თუ არა ამ სერვისებით.

მომსახურების გაწევის წესი და პირობები (მაგალითად, ჰიგიენური ნორმების დაცვა, ფართით სარგებლობის გრაფიკი) წინასწარ არის გაწერილი და შეთანხმებული ხელშეკრულების მხარეებს შორის.

ამრიგად, სკოლის მიერ შერჩეული მოდელი (ფართის იჯარით გაცემა კონკრეტული მიზნობრიობით) ადასტურებს, რომ დამატებითი მომსახურებები (კვება, კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები) ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ემსახურება მოსწავლის განვითარებას და მათი ხასიათიდან გამომდინარე, ეფუძნება მომხმარებლის (მოსწავლის/მშობლის) ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებითი მომსახურებების გაწევისას ორიენტირებულია უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და მოსწავლეთა ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია კერძო პირებთან ფართის იჯარით გაცემის გზით, სკოლა (მეიჯარე) ინარჩუნებს კონტროლის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვას: კვების მომსახურების (ბუფეტი) შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-4 მუხლში (4.1.7. და 4.1.8. პუნქტები) პირდაპირ არის გაწერილი, რომ მოიჯარე ვალდებულია დაიცვას თანამშრომელთა პირადი ჰიგიენისა და ფორმის წესები, ასევე, ჯანმრთელობისა და სანიტარიული მოთხოვნები.

სკოლის დირექციას აქვს უფლება ნებისმიერ დროს განახორციელოს ჯანსაღ კვებასთან, ჰიგიენასა და სანიტარიასთან დაკავშირებული საკითხების მუდმივი კონტროლი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა არ ითხოვს სპეციალურ ლიცენზიას, სკოლა თავად ადგენს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს.

მომსახურების სახეობები (კვება და ცეკვის წრე) უპასუხებს მოსწავლეთა საჭიროებებს: ფიზიკური კეთილდღეობა (ჯანსაღი კვება) და შემოქმედებითი განვითარება (ცეკვა).

ხელშეკრულების პირობებით, მოიჯარე ვალდებულია, არ დააზიანოს სკოლის ქონება და დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და ჰიგიენური ნორმები (ხელშეკრულება №2, პუნქტი 5.3.3.), რაც ქმნის უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებისთვის.

ხელშეკრულებები ითვალისწინებს მოიჯარის სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას საიჯარო ფართში მომხდარ ნებისმიერ ინციდენტზე, რაც ზრდის მომსახურების მიმწოდებლის მოტივაციას, მაქსიმალურად დაიცვას უსაფრთხოების წესები.

ამრიგად, იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობა არ ითხოვს საქმიანობის განხორციელების სპეციალურ უფლებას (ლიცენზიას/ნებართვას), წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების (სანიტარიული, ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო) მკაცრი დაცვით. სკოლის მიერ დათქმული კონტროლის მექანიზმები და მომსახურების შინაარსი (ჯანსაღი კვება, კულტურული განვითარება) სრულად შეესაბამება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *იჯარის ხელშეკრულება №1 (01.12.2025) – გაფორმებული სსიპ ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლასა და ფიზიკურ პირს შორის (კვების ობიექტის/ბუფეტის ფუნქციონირების შესახებ);*
- *იჯარის ხელშეკრულება №2 (01.12.2025) – გაფორმებული სსიპ ქალაქ ბათუმის №23 საჯარო სკოლასა და ფიზიკურ პირს შორის (ცეკვის წრის ფუნქციონირების შესახებ);*
- *ელექტრონული აუქციონის ამონაწერები (eauction.ge) – ლოტი №1163318 და ლოტი №1163345, რომლებიც ადასტურებენ ფართების გაცემის კანონიერებასა და გამჭვირვალობას.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**
   სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. აღნიშნული მიდგომა ასახულია შესაბამის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში და სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და მექანიზმებში, სადაც ნათლად ჩანს საზოგადოების წევრთა მონაწილეობა. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებებს. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული და საჭიროებებზე ორიენტირებულ პროცესს. საგნობრივი კათედრები სისტემურად განიხილავენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებას.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**
   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი შინაარსობრივი ნაწილი გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერსებისა და სურვილების გათვალისწინებით შეიქმნა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ისინი სისტემურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებსა და წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების სიღრმისეულ გაგებას და კურიკულუმში მათი ასახვის

უზრუნველყოფას. მასწავლებელთა თქმით, სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია როგორც საგნობრივი კურიკულუმების ფორმირებაში, ისე მათი შემდგომი განახლების პროცესში. წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები და სასწავლო პროცესის ანალიზი წარმოადგენს კურიკულუმის განვითარების ძირითად საფუძველს. პედაგოგები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მოსწავლის როგორც სწავლების მთავარი სუბიექტის როლს — მათი ცოდნა, ინტერესები და შემოქმედებითი შესაძლებლობები განაპირობებს როგორც სასწავლო პროცესის, ისე საგნობრივი კურიკულუმის შინაარსობრივ და მეთოდურ მიმართულებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი თანამშრომლობდა ერთმანეთთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმის ფორმირებისას გათვალისწინებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე მოსწავლეთა ინტერესები, წინარე ცოდნა და საჭიროებები. მიმდინარე და მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კურიკულუმები გაზიარებულია და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც მიუთითებს საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე კურიკულუმის შექმნის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია მისი თითოეული წევრისთვის. პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ დოკუმენტი განიხილება როგორც საგნობრივ ჯგუფებთან, ისე მშობელთა კრებებზე. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მომზადებულია მარტივად გასაგები რეზიუმეები. სკოლას გააჩნია მოქმედი უკუკავშირის მექანიზმები, მათ შორის სოციალური ქსელებით, კურიკულუმის ელექტრონული ფოსტით გაზიარების პრაქტიკა და პერიოდული გამოკითხვები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*
- *საგნობრივი კურიკულუმები.*
- *კათედრის ოქმები.*
- *სადამრიგებლო პროგრამა.*
- *მშობელთა კრების ოქმები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** რჩევა: *თემის ფორმულირებისას მიყევით საგნობრივ სტანდარტს (IV კლასის კურიკულუმი)* დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს შემოქმედებითი დავალების იდეა, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა

	გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ენობრივი შესაძლებლობები, ხოლო შერჩეული თემები მიზნად ისახავს ენობრივი უნარების განვითარებას. კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ცოდნის ყველა კატეგორიის გააქტიურებას და უზრუნველყოფს შინაარსის სიღრმისეულ გააზრებასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირს. მასწავლებლებს გააჩნიათ გააზრებული მიდგომა სწავლა-სწავლების პროცესისადმი და მყარი მზადყოფნა, შექმნან მიზნობრივი და სტიმულირებელი სასწავლო გარემო. **რჩევა** სასურველია, კურიკულუმში სამივე საფეხურზე შემოქმედებითი პროდუტის პირობა ნათლად და მკაფიოდ და რაც მთავარია ლაკონურად იყოს მოცემული ძირითად საკითხში, როცა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებაა დაგეგმილი. ასევე კონტექსტ მაგალითში მითითებული იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება კათედრის წევრების მზაობა, განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებული და შემოქმედებითი გარემოს ჩამოყალიბებას. მათთვის კურიკულუმი არის „ცოცხალი დოკუმენტი“, რომელიც მუდმივ განახლებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან ადაპტირებას საჭიროებს. სასკოლო კურიკულუმს ეფექტურად აძლიერებს არაფორმალური განათლების კომპონენტები. კლუბები — „ჩვენი ხელებით ვჩხირკედელაობთ“, „ნაკერების ხელოვნება“ და მუსიკალური წრე

	„ჰანგები“ — მნიშვნელოვან პლატფორმას ქმნის მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების რეალიზებისა და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტმაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა** - გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და აღნიშნონ, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღნიშნონ ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაუმატონ შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები.ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია რძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობები,თუ პროექტი,რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი.

	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს, **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები. **რჩევა:** სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.) **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. კურიკულუმებში სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი სასწავლო თემები, სასწავლო მიზნები, აქტივობების დაგეგმვის პრინციპები და მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური ტიპის შემოქმედებითი დავალებები **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევები სამივე საფეხურისთვის:** 1. უმჯობესია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი; 2. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 3. უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; 4. სასურველია, თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს; 5. კურიკულუმებში უმჯობესია გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; 6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. კურიკულუმებში სასურველია მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება.
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებსა და სწავლა-სწავლების პრინციპებს. უცხოური ენების სასწავლო კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. პრიორიტეტი ენიჭება შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს უნარების, ცოდნისა და ღირებულებების

	ინტეგრირებულ განვითარებას. დოკუმენტებში აღწერილი შუალედური და გრძელვადიანი მიზნები უზრუნველყოფს ისეთი სწავლების დაგეგმვას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განაპირობებს ფუნქციური უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შედეგები ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი საკითხები, რომლებიც მასწავლებლებთან ერთად იქნა განხილული და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. პედაგოგებმა მზადყოფნა გამოთქვეს კურიკულუმების განახლებისთვის და აღნიშნეს, რომ ეს არის დინამიკური პროცესი, რომელიც მუდმივ გაუმჯობესებას საჭიროებს. რეკომენდაციების საფუძველზე მათ ოპერატიულად განაახლეს დოკუმენტები და ხელახლა წარმოადგინეს განსახილველად, სადაც გათვალისწინებულია არსებული შენიშვნები. თუმცა კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას, რის გამოც მიზანშეწონილად მიმაჩნია დამატებითი რჩევების წარმოდგენა. საბაზო საფეხურის სხვა კურიკულუმებში წარმოდგენილია სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი, ხოლო ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ასევე განიხილეს თემატური ბლოკის – „ადამიანი ხელოვნებაში“ – დამუშავების პროცესი, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში ხორციელდება, თუმცა კურიკულუმის დოკუმენტში სრულად არ არის ასახული. **რჩევა:** აისახოს IX კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკი – „ადამიანი ხელოვნებაში“. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატური კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტმაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ტრანსფერში. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას;რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე-კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე

	ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი ,მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები,

	სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** გირჩევთ, მე-3 კლასის ქართულის კურიკულუმში სამიზნე ცნებების,ქვეცნებებისა და ქვესაკითხების სვეტი შეავსოთ სრულყოფილად. დაეყრდენით თქვენს მიერ გადმოგზავნილ 1-ელი კლასის კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს როგორც მატერიალური, ისე ტექნიკური რესურები, ისტისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები; **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** რჩევა: მომავალი სასწავლო წლებისთვის გაითვალისწინეთ და კურიკულუმში შეიტანეთ ყველა ის რესურსი, რომელსაც იყენებთ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე,

	მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს შეუწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (სამუშაო რვეული, აუდიომასალა, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები — მათ შორის საგანმანათლებლო, ვიზუალური, აუდიო და პრაქტიკული რესურსები — სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები ადეკვატურად შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის სასწავლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე მასალები (სხვადასხვა ციფრული თუ მატერიალური რესურსები). აღნიშნული რესურსები მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტების ეფექტიანად მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწზავლეთა და მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, საგანმანათლებლო თამაშები, კომიქსები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები, რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. ასევე დადგინდა, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე- სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: • ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; • კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, Microsoft Office 365 (OneDrive), scratch.mit.edu. • ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის

	შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და

	მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების და მთლიანად საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის და რამდენად ქმნის თითოეული მოსწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას კომპლექსური დავალების აქტივობები და პროექტები ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას. კათედრის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები სამივე საფეხურზე სრულყოფილად მოიცავს გრძელვადიანი და შუალედური მიზნებს ადაპტირებულ ვარიანტს. სკოლამ ასევე წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ინტერვიუმ ცხადყო რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლის უნიკალურ საგანმანათლებლო პროფილს, წინარე ცოდნას, სტილსა და მოტივაციას. მთლიანობაში, მასწავლებლებს გააჩნიათ კომპეტენცია და მზაობა, დაგეგმონ დიფერენცირებული სასწავლო აქტივობები, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალური განსხვავებების ანალიზს და მიზნად ისახავს სწავლაში ხელშემწყობი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში ნათლად ჩანს შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მრავალფეროვანი და მათთვის ეფექტური გზებით გამოხატონ. მასწავლებლებთან ინტერვიუებმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვამ აჩვენა, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები: ხდება დავალებების სირთულის დონის მორგება, პირობების ადაპტირება და რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ამაღლებს მოტივაციას და უწყობს ხელს ცნობიერ სწავლებას — მოსწავლეები უკეთ ხვდებიან, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი დავალებები, აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას . თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკის კურიკულუმი, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე- ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები, როგორიცაა წინასწარ მომზადებული მასალები, შაბლონები, ტექსტის რედაქტირებაში დახმარება, დავალების შესასრულებლად დამატებითი დროის მიცემა და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეასრულონ უფრო კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც გულისხმობს დამატებითი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას, არგუმენტირებული მოსაზრებებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას, ასევე საკუთარი ნამუშევრების საჯარო წარდგენას სკოლის საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას მოსწავლეებთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** რჩევა: შემდეგი სასწავლო წლებისთვის შექმენით ყველა თემის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მიზნების დანერგვაზე. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. დაწყებით საფეხურის (I-VI კლასები) რუბრიკები დეტალურად ასახავს შეფასების კრიტერიუმებსა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მიდგომებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები) წარმოდგენილი რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად იკვეთება მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და დავალების შესრულების ინდიკატორებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა:**

	სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს.
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს და ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სწავლის პროცესზე მორგებულ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები) ანალიზი ცხადყოფს, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სწავლის პროცესის მიზანმიმართულობას, ასევე მოსწავლეთა პროგრესის ხარისხიან მონიტორინგს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენასა და ლიტერატურის კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე, თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს, თუ რას ამოწმებს ეს კრიტერიუმები: გაგება-გააზრებას, ლექსიკას, ესეს, პრეზენტაციას კონკრეტულ გრამატიკულ თუ ლექსიკური ცოდნას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა: ქართული ენასა და ლიტერატურის

	კათედრამ შეიმუშაოს ქართული ენასა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა მოგვიანებით, შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რომლებიც სკოლას სასწავლო თემების მიხედვით აქვს შემუშავებული ყველა სასწავლო თემისათვის. **რჩევა: სამივე საფეხურზე** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა სასწავლო თემისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით.

	მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული,უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **რჩევა:**გირჩევთ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას,გაითვალისწინოთ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *განხორციელებული პროექტები და მათი შეფასების სქემები;*
- *შემოქმედებითი დავალებების რეფლექსიები;*
- *დიაგნოსტირება „მოქალაქეობაში“ -ანგარიშის ფორმა;*
- *ისგ;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *კათედრის ოქმი N1 ,N2*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
- *თვითშეფასების კითხვარი*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით და დოკუმეტების შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი დინამიურად მოდიფიცირდება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მიზნობრივ ადაპტაციას და კურიკულუმის პერიოდულ განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზი ნათელს ჰყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შემოქმედებით საქმიანობაში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებს. მათ წარმოადგინეს ფოტო მასალა და აგრეთვე სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, სადაც მკაფიოდ ჩანს კათედრის საქმიანობის დინამიკა და სწავლა-სწავლების პროცესი. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სწავლების დაგეგმვა და განხორციელება თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები და შემოქმედებითი პროცესი სისტემურად არის სტრუქტურირებული, ემთხვევა გეგმაში წინასწარ განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ, ღრმა და მრავალმხრივ ჩართულობას. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემყარება და რეალურად ასახავს სასკოლო კურიკულუმის პრინციპებსა და სტრუქტურას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა

	შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებელი წლის დასაწყისში შეიმუშავებს, ცვლის, ანახლებს სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავს სასწავლო პროცესს მთელი წლისგანმავლობაში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი

	კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ სკოლა ეფექტიანად რეაგირებს წამოჭრილ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მოქნილად ადაპტირდება მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს და უზრუნველყოფენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ საკუთარი ცოდნისა და აზრის გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმა, რაც ზრდის მათ ჩართულობას. სკოლა ასევე ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიულ გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც განაპირობებს გამოწვევებზე დროულ და შედეგზე ორიენტირებულ რეაგირებას, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების უწყვეტ გაუმჯობესება. კათედრები აქტიურად ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებს, ახდენენ რეკომენდაციების შემუშავებასა და გაზიარებას, რაც ასახულია საგნობრივ კურიკულუმებსა და კათედრის ოქმებში.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა:** სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველი გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. უმჯობესია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა როგორც სწავლის მხარდაჭერის ინსტრუმენტი და იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, მათ შორის ურთიერთ შეფასებას და თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის რეფლექსიასა და პროგრესის მონიტორინგს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში - სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში გამოიყენება როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელი შეფასებება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის

	საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა სკოლაში სრულად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, დონეებსა და მოლოდინებს. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული ყველა მოსწავლისთვის, ამცირებს სუბიექტური მიდგომის რისკებს და ზრდის ნდობას როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობა ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთეს აკადემიურ ორიენტაციას და საკუთარი პროგრესის გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა.

	შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან. შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების **ვერიფიკაციის მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს როგორ აფასებენ მოსწავლეებს და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს, აღწერეს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზებს და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მითითებული სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** რჩევა: დაწყებითი საპეხურიე კურიკულუმებში სრულად მიუთითეთ დამხმარე რესურსები
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა

	ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლება ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მათ თანდართულ მასალებს (რვეულები, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. გამოყენებულია ეფექტურად შერჩეული დამხმარე ელექტრონული რესურსებიც, რომლებიც სრულად უწყობს ხელს სასწავლო შედეგების მიღწევას. **რჩევა** სასურველია, ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე დამატებითი რესუსრსების ჩანაცვლევა მოხდეს თანამედროვე უფრო ეფექტური დამხმარე მასალებით და მოქმედი ლინკებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ინტერნეტრესურსები, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს, ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოიკვეთა. დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები, რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის. ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად

	გამოყენება. სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: **Microsoft Office** პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint), **Paint / Paint 3D**, ასევე **Microsoft Office 365** გარემოში (OneDrive). პროგრამირების საბაზისო უნარების

	განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმა, როგორიცაა **Scratch** (scratch.mit.edu). აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებულია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმი. სასწავლო წლის დასწყისში კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსების შერჩევა და ოქმის სახით მათი ჩამონათვალის დამტკიცება. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ისე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და საჭიროებები. აღნიშნული ვალიდაციის პროცესი ხელს უწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სკოლა აქტიურად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. ასევე, სკოლა იყენებს მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირს რესურსების ეფექტურობის შესაფასებლად, რაც უზრუნველყოფს რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და ეფექტურ მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ყურადღებით იკვლევენ დამხმარე სასწავლო მასალებს და არჩევენ მხოლოდ მიზნობრივ და ეფექტურ რესურსებს. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზანმიმართულობას. ასევე ირკვევა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პროცედურები, რომლებიც მხარს უჭერს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას. ამ მიდგომების ერთად ფორმირებას განაპირობებს ის, რომ შერჩეული მასალები რეალურად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა პროგრესს **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში). ინტერვიუს დროს დასმულ

	კითხვაზე, თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, მასწავლებლებმა უპასუხეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში (თემა, მიზნები და ა.შ.) **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი. კერძოდ; school.emis.ge. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის ვალიდური (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ განსაზღვრულია მისი ვალიდაციის კრიტერიუმები, კერძოდ : სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

	ხოლო მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების შექმნის შემთხვევაში სკოლა თითოეულ მასწავლებელმა ავალდებულებს გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები: • განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას; • დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის; • რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმები და შეუძლია უზრუნველყოს ამ რესურსების ვალიდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც მოიცავს კლასების აღჭურვას თანამედროვე სასწავლო ინვენტარით და ტექნიკით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შექმნილია სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და მიზნების შესრულებას, რაც სრულად პასუხობს კურიკულუმში განსაზღვრული შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწავლო პროცესი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები და საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს როგორც

	მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კერძოდ, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი კეთილმოწყობილი

	კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა გამოიყენება პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლას აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის ადამიანურ რესურსს. პედაგოგთა უმრავლესობა აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, ფლობს შესაბამის განათლებასა და პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას.

ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებული არიან არასერტიფიცირებული პედაგოგები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და დაწყებით საფეხურზე სპორტის მასწავლებლებად, რომლებიც არიან მოტივირებულნი და გეგმავენ აღნიშნული საგნების სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას. მიუხედავად ამისა, სკოლაში წარმოდგენილია სერტიფიცირებული პედაგოგების საკმარისი რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმების შემუშავებასა და სასწავლო პროცესის სათანადო ხარისხით წარმართვას, ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, არა უგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით. გეგმით გათვალისწინებულია კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რეალისტური ვადები, რესურსების მობილიზება და პასუხისმგებლობა, რისკების გააზრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *განხორციელებული პროექტები და მათი შეფასების სქემები;*
- *შემოქმედებითი დავალებების რეფლექსიები;*
- *სკოლის ინფრასტრუქტურის დამადასტურებელი ფოტომასალა.*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

- *საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი N1*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
- *პერსონალის ხელშეკრულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის და შეფასების რგოლი. კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია.

.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესები მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პრობლემის დროულ იდენტიფიცირებას, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მათი გადაჭრის შესაბამისი გზები და საშუალებები. მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას კათედრა ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების წარმოებით, რის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოდიფიცირება სამივე საფეხურზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები აუცილებელია როგორც მიღწევების, ისე არსებული სირთულეების გამოვლენისთვის. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას იძლევა სწავლების შემდგომი ეტაპები ისე დაიგეგმოს, რომ გათვალისწინებულ იქნეს წარმატებული პრაქტიკა და აღმოჩნდეს პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესად მიიჩნევა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური მონაწილეობა, რისი უზრუნველყოფაც სკოლას ეკისრება. ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებელები კურიკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ ურთიერთდასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად ახდენენ ანალიზს, შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის თვითშეფასება;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შეფასების რუბრუკები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს საჭიროებებზე მორგებული შეფასების მოდელი. სასკოლო კურიკულუმი თითოეული საგნის სპეციფიკას ითვალისწინებს და პედაგოგებს საშუალებას აძლევს პროცესს ინტეგრირებულად დააკვირდნენ და გამოიყენონ მრავალმხრივი მონაცემები. მასწავლებელთა განმარტებით, შეფასება დაფუძნებულია სხვადასხვა წყაროზე: პედაგოგის დაკვირვებაზე, ყოველდღიური პროცესის დინამიკაზე, შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის უკუკავშირზე. დამატებით ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე გამოცდილებას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და მშობელთა/დამრიგებელთა მოსაზრებებს. შეფასების შედეგები პედაგოგებს აძლევს საშუალებას განსაზღვრონ დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა. სწავლების შეფასება ხორციელდება როგორც საკლასო, ისე შემაჯამებელი დავალებების საფუძველზე, ხოლო მოსწავლეთა სირთულეები იკვეთება სხვადასხვა წყაროსთან კომუნიკაციის შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემის სირთულე, სწავლების პერიოდი და მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას აქვს მზაობა, შეფასება წარამართოს კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაყრდნობით, ცოდნის სხვადასხვა კატეგორიის ინტეგრაციით. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
   მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს. გეგმავენ შეფასების რუბრიკების განვითარებას, გაუმჯობესებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას დაგეგმილი აქვს შეფასების პროცედურების გაფართოება სხვადასხვა მეთოდით (დაკვირვება, ტესტირება, პროექტები, პორტფოლიო), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. კათედრებს შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება ესგ- ის პრინციპებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, სუსტი და ძლიერი მხარეებს გამოკვეთას და შემდგომი უკუკავშირის გაცნობას. შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კათედრის ოქმი N1;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას სემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები, სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ პროცესების რეფლექსია, აღწერონ მიღწეულ შედეგები, გადასინჯონ და რევიზიის შემდეგად შეიმუშაონ რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ბუნებისა და პროექტული დავალებების მიხედვით გამოკვეთილი შედეგების მიხედვით და ამის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუებმა, ასევე წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენა, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგება იმ საჭიროებების გათვალისწინებით რაც გამოავლინა შეფასებამ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის გადასინჯვის რევიზია;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*

- *წლიური ანგარიშები;*
- *კათედრის ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 12.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თინათინ გიორგაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ ბლიაძე

საბა დარსაველიძე -

ხათუნა ჯიმშიაშვილი

ლელა გაბისონია

ავთანდილ ცნობილაძე

ნია ენდელაძე

მაია ქუთათელაძე

ეკატერინე მაკარიძე:

ქეთევან ტურიაშვილი

ნათია ორმოცაძე